426 / 8413


# ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 7 (287) გამოცემის მე-16 წელი

1972 წლის 14 აპრილი


სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი, სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი, სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, — ჩემი სამშობლო ის არი.

რაფიელ ერისთავი

# გაყიდულთა ჩვედრი



თბილისი, რუსთაველის გამზირი

იოსებ დვალის ფოტო

ამას წინათ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციაში წერილი მივიღე:

„პატივცემულო მიხეილ! თქვენ წარმოდგენაც კი არა გაქვთ ამ წერილის ავტორზე. მე კი გიცნობთ. ეს არც არის გასაკვირი. თქვენ ხომ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი ბრძანდებით. ამიტომ შევაჩერე სწორედ არჩევანი თქვენზედ, მომმართა თხოვნით. თხოვნა მართლაც რომ დიდია, უდიდეს მისიას გაკისრებთ, პატივცემულო მიხეილ, თქვენ ეს ჩემი თხოვნა. მაგრამ, რადგანაც კი გავბედე და ხელში წერილის დასაწერად კალამი ავიღე, იმედი მაქვს ეს ჩემი თხოვნა აუცილებლად შედეგს გამოიღებს. რა თქმა უნდა, დადებითს, ყოველ შემთხვევაში წარმოდგენილი მაქვს თქვენ ცდას არ დააკლებთ ამ საქმეს.

მე მშობლებთან ერთად უკვე ოთხი თვეა ისრაელში ვცხოვრობ, თუ შეიძლება ცხოვრება ეწოდოს ჩემს აქ ყოფნას. ნამდვილად რომ ჯოხეთად მაქვს წარმოდგენილი აქაურობა. თუმცა ადრევეც ასეთად მქონდა წარმოდგენილი, რადგანაც ვიცოდი, რომ ადამიანი, რომელიც თავის ძველ მამა-პაპურ ადგილს მიატოვებს და სხვაგან წავა, როგორი კარგი პირობებიც არ უნდა იყოს იქ, მისთვის ყველაფერი მაინც ფუჭია“.

დავხედე კონვერტს: „ისრაელი, აშკელონი, ატეკოდ შიკუნ-შიმშონი. 437/12“.

არსებობს სიბრაზის გრძნობა ადამიანების მიმართ, რომლებიც მშობლიურ მიწა-წყალს იოლად გაიმეტებენ; ეს გრძნობა მკარნახობდა, დაუყოვნებლივ დამებრუნებინა წერილი, მაგრამ არის მოვალეობის გრძნობაც.

„ალბათ იკითხავთ, — განაგრძობს ავტორი, — თუკი ყველაფერს წინასწარ გრძნობდით, რატომ გაბედე და მცდარი ნაბიჯი გადადგიო?! აბა წარმოიდგინეთ, მე მხოლოდ 19-იოდე წლისა ვარ, შეიძლება უკვე ეს ასაკი საკმარისი იყოს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, მაგრამ მე მაინც ვერ გავბედე მარტო დარჩენა, სამუდამოდ უნდა დამეკარგა საყვარელი დედ-მამა, დები, ძმები, დისშვილები თუ ძმისშვილები. მაგრამ ახლა, როდესაც დავრწმუნდი, რომ ჩემთვის აქ ყოფნა აუტანელია, საბოლოოდ გადავწყვიტე ყველასათვის და ყველაფრისათვის ხაზი გადამესვა და ჩემი ცხოვრების წინსვლისათვის საჭირო საქმე გამეკეთებინა.

მე მინდა სწორედ ახლო პერიოდში დავბრუნდე, როცა ახლაც საქართველოს სითბოთი ვცხოვრობ, როცა საქართველოზე წმინდა ფიქრები მუდამ თან დამდევს აჩრდილივით.

ძალიან კარგი და დიდი მიზნები მჭონდა ცხოვრებაში. დავამთავრე სამტრედიის რაიონის დაბა კულაშის ვ. სტურუას სახ. საშუალო ათწლედი კარგი შეფასებით. ერთი წლის შემდეგ სწავლა განვაგრძე თბილისის ერთ-ერთ ტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც ფრიადზე დავამთავრე. ამას შემდეგ ის იყო ვაპირებდი უმაღლესი განათლების მიღებას, რომ მომიხდა აქ წამოსვლა. ახლა კი ჩემს მიზნებს საძირკველი გამოეცალა, ამიტომ მინდა ვითხოვო პატიება და დავბრუნდე სამშობლოში — სადაც დავიბადე და გავიზარდე. მე ხომ მოტყუებით არ წავსულვარ ტურისტად და შემდეგ უარი არ განმიცხადებია საქართველოში დაბრუნებაზე. პირიქით, ამიტომაც მინდა ჩემი ეს შეცდომა უნებლიეთ ჩათვალოთ და მომეცეს საშუალება დავბრუნდე უკან.

მე აქა მაქვს, ბატონო მიხეილ, „სოფლის ცხოვრების“ ის ნომერი, რომელშიც თქვენი სტატია „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“ არის მოთავსებული. ასევე კარგად მახსოვს რადიოთი თქვენი გამოსვლაც ამ თემის გარშემო; მე სიამაყით ვივსებოდი, როდესაც თქვენ მოუწოდებდით ქართველ ებრაელებს კეთილი მიზნებისაკენ. აგრეთვე მაქვს გაზეთ „სამშობლოს“ ის ნომერი, რომელშიც პატ. გერცელ ჩაჩაშვილის წერილი „საქართველო ჩვენი სამშობლოა“ არის მოთავსებული.

მინდა ეს წერილი, პატ. მიხეილ განიხილოთ არა როგორც გაზეთის რედაქტორმა, არამედ როგორც ახლობელმა ადამიანმა და გულიდან ამოსული ჩემი სიტყვები თქვენს გულამდე მიიტანოთ და ჩემი მწარე ფიქრები თქვენც გაიზიაროთ, ხოლო, თუ კი საჭირო იქნება, გახდეს ეს წერილი ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი, დაე, მათ მიმიზღონ სამაგიერო, მაგრამ თუკი ისინი მაპატიებენ ჩემს უნებლიე შეცდომას და სამართლიანად ჩათვლიან ჩემს დაბრუნებას საქართველოში, მე მაშინ, ალბათ პირველად ვიქნები ჩემს ცხოვრებაში ბედნიერი ადამიანი. ამიტომ გთხოვთ, ნუ დატოვებთ ჩემს თხოვნას უყურადღებოდ. მიიღეთ მხედველობაში, რომ ერთი ღღით აქ ყოფნა ჩემთვის ერთ თვეს უდრის“.

წერილს ხელს აწერდა ბორის აბრამის ძე ხანანაშვილი. გადავწყვიტეთ ეს წერილი ავტორის ნებართვით საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი გაგვეხადა... მაგრამ დროებით მაინც თავი შევიკავე, ვიფიქრე, ქართველი ებრაელების ერთი ნაწილი, თუნდაც ძალიან მცირე, მიიჩნევდა — ეს წერილი იმისთვისაა დაბეჭდილი, რომ არ წავიდეთ ისრაელში. კაცმა რომ თქვას, ურიგო არ იქნებოდა ზოგიერთიბმა თავიანთ ზურგზე იწვნიონ „აღთქმული მიწის“ ყველა „სიკეთე“, ნახონ, როგორია იგი, მაგრამ ბორის ხანანაშვილის წერილის დროებით გადადება იმანაც განაპირობა, რომ ზოგი ამგვარ წერილს არ მიიჩნევს კაპიტალისტური სამყაროდან მოღწეულ სულის ძახილად. ნაცვლად იმისა, რომ თანაუგრძნონ უბედურებაში ჩავარდნილს, თვითონაც უდიდესი სიფრთხილით გაზომონ ყოველი ნაბიჯი, არაფრით ცდილობენ თვალი აუხილონ თაკიანთ მეგობრებს, ახლობლებს და. უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავს.

წერილები ყველგან მოგვყავს უცვლელად.

(გაგრძელება მეექვსე გვერდზე)

რედაქტორის სვეტი

# „ბოროტსა ძლია კეთილმან...“

რაც ქანთარიამ ჩვენი გამარჯვების ალამი აღმართა რაიხსტაგზე, სანახევროდ რომ იყო დანგრეული საბჭოთა ვაჟკაცის სიმტკიცით და შურისძიების ჭურვით, საბჭოთა მთავარსარდალმა ბრძანა: გერმანელ ხალხს — ბავშვებს, მოხუცებს, ქალებს, მოხუცებს, ტყვედ დანებებულ გუშინდელ მოწინააღმდეგეს — პური მიეციოთ. ჩვენ დავიკელით და მათ ვუწილადეთ, ღუმა გავუყავით ადამიანებს, რომლებიც გუშინ ჩვენ გვებრძოდნენ, წაცეული მოწინააღმდეგე ადამიანურად გავიკითხეთ, ფეხზე წამოვაყენეთ, დაფეთებულსა თუ დარცხვენილს თვალებში ჩავხედეთ და იქ ამოკითხული სინანული ადამიანურად გავიგეთ. ეს იყო ჩვენებური, საბჭოთა ჰუმანიზმის გამოვლინება, ეს იყო კაცური კაცობისა და არაადამიანური ომით დაღლილი გულიდან მოზღვავებული სულგრძელობა, კანონად განმტკიცებული ნება-სურვილი საბჭოთა ხალხებისა — რუსების, უკრაინელების, ბელორუსების, სომხების, აზერბაიჯანელების, ბალტიისპირეთისა და შუააზიის ხალხების, ქართველი კაცის ნება-სურვილი, სულგრძელ ხალხთა ბრძანებად თქმული ნება-სურვილი.

საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში ქართველი ხალხი ოდითგანვე ნიშანდებული იყო თავისი დიდსულოვნებითა და კაცთმოყვარების იმ კეთილშობილური გრძნობით, რასაც მეცხრამეტე საუკუნეში ინტერნაციონალიზმი ეწოდა. საქართველოში არასოდეს არ დაუძრახავთ, არ დაუჩაგრავთ და მით უფრო არ დაურბევიათ არავინ ეროვნული რწმენისა და სინდისის მიზეზით. სხვა ერის შვილობა ქართველისათვის არასოდეს ყოფილა ზღუდე მასთან მეგობრობისა და ნათესაობისაც კი. ამაშია მადლიანი ძალა ჩვენი ერის უძლეველობისა და სიმტკიცისა, ეს არის ქართველთა წარსული, აწმყო და მომავალი.

ქართველი ხალხის უამრავთაგან ერი.მა უანგარო მეგობარმა, ცნობილმა სომეხმა მწერალმა, აწ განსვენებულმა გარეგინ სევუნცმა ერევანში გამართულ ნადიმზე თქვა — როცა ჩვენ, სომხებს, დაუბრუნებელ წარსულში რიგრიგობით ყველგან გვარბევდნენ და სომხობისათვის გვსჯიდნენ, საქართველოს კარი ყოველთვის ღია გვქონდა და თავს იქ ვაფარებდით. ჭირსა და ვარამში დევნილთ არავინ და არასოდეს ისე გულღიად არა გვხვდებოდა, როგორც ჩვენი ჭეშმარიტი მოძმე ქართველები მიგვიკეთებდნენ ხოლმეო.

დიახ, ქართველი კაცი მეზობელთან მეზობელია, მოყვარესთან — მოყვარე, მეგობართან — მეგობარი, მტერთან მტრობაშიც არავის ჩამოუვარდება. სწორედ ამ ეროვნულმა კეთილშობილებამ განაპირობა საქართველოს ინტერნაციონალისტური გეოგრაფია, რომლის უკეთესი მაგალითია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი, ქართველი კაცის სანუკვარი სავანე, ძველთა-ძველი და მარად ჭაბუკი თბილისი თავისი 930.000 მოსახლით.

დიახ, 1970 წლის აღწერით დადგენილია, რომ საქართველოს დედაქალაქში — თბილისში — ქართველებთან ერთად ძმურად ცხოვრობენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სომხები, ქურთები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, მსოფლიოს ხალხთა და ეროვნებათა ასზე მეტი წარმომადგენელი. საქართველოს ისტორიამ კი დაადგინა, რომ ქართველი კაცი არასოდეს ხელს არ ჰკრავს, კარს არ მიუხურავს მასთან კეთილი გულით მოსულ არცერთ ერის შვილს, არასოდეს არ დასძრახავს, არ ხელჰყოფს მის ეროვნულ ღირსებას. ესე იყო, ესეა, ესეც იქნება აწ და მარადის!

დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორის მიხეილ დავითაშვილის წერილს, წერილს ქართველი ებრაელი ჟურნალისტისა, რომელსაც ჩვენმა ძამულმა და პარტიამ საქართველოში მცხოვრებ ებრაელებთან თანაბრად მიანიჭა ყველა უფლება კეთილი შრომისა, თავისუფალი სიტყვისა და სამშობლოს უანგარო სამსახურისა. ვაქვეყნებთ წერილს მიხეილ დავითაშვილისას, რომელსაც ქართველმა ხალხმა ანდო ჩვენი ეროვნული ძალისა და ეთნოგრაფიული სიძლიერის — ჩვენი სოციალისტური სოფლის გაზეთის მთავარება, ვაქვეყნებთ წერილს შრომაში დაუღალავი მოკალმისა, ძვირფასი მეგობრისა, გულისტკივილით რომ განიცდის გზასაცდენილ მისი და ჩვენი თანამემამულეების ავბედით ხვედრს.

დიახ, ძველი თბილისის ძველთა-ძველ უბანში, ჩვენი მამა-პაპის სისხლით მორწყულ მიწაზე, ნარიყალას ძირში, ქართველ ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი უბანია გაშლილი, უბანი, რომელსაც ავად არცერთი ქართველის თვალი არ მიჰქცევია, უბანი, რომელშიც სამრწამსო თუ საქმიან საკრებულოს — სინაღღას — დამრბევი ხელი არასოდეს არ შეჰხებია. დიახ, საქართველოში სიმრავლის გამო ვერ დაითვლებიან სახელოვანი ებრაელები, გულმართალი და ამაგდარი მამულიშვილები, რომელთა ხვედრი ჩვენთვის არასოდეს ყოფილა და არც იქნება სასხვათაშორისო, ისევე როგორც ყველა ებრაელისა, თუ ყველა თბილისელისა.

მაგრამ — როცა გონებაარეულთა ერთი წყება, ზოგ-ზოგ უსაქმურთა მცირე ნაწილი ვიგინდარების ფეხის ხმას აჰყვა, აჰყვა ახირებით, ქართველ კაცს მათთვის კალთა არ ჩამოუგლეჯია და არც ჩამოგლეჯს — გზა სხნილია, საითაც უნდათ, იქით წაბრძანდნენ! დიახ, საქართველოს დედაქალაქის კალთის ქვეშ მცხოვრებ ყველა ებრაელს თბილისელები ვეტყვით პირდაპირ, ალალად ვეტყვით 12.810 ებრაელს, 6.755 ქართველ ებრაელს, შუააზიელ და მთიელ ებრაელებს ვეტყვით ქართულად, ადამიანურად, პირდაპირ — არცერთ წამსვლელს ქართველი კაცი ხელს არ შეუშლის, ოღონდ ისიც იცოდნენ — შინიდან გასულთ შინ მოსაბრუნებელი პირი აღარ ექნებათ თუნდაც იმიტომ, რომ ყველა მასპინძელს, მით უმეტეს ქართველ კაცს, თავისი თავმოყვარეობა აქვს, რომ არავისი არაფერი გვმართებს და ზურგნაქცევ თანამემამულეობას არად ვინაღვლით.

გვესმის მიხეილის წერილში ნახსენები ყმაწვილკაცის ბორის ხანანაშვილის, დანარჩენ გზასაცდენილ თანამემამულეების სულის ყივილი, მაგრამ ბორისმა და სხვებმაც თავიანთ „მოკეთეებს“ დააბრალონ უსინდისობა და უკეთილშობილება. დაე, იცოდნენ იმათ, რომ ბუდის მოშლა ადვილია, აღდგენა კი — ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელი. დაე, იცოდეს ყველამ უკლებლივ, რომ „ძალა აღმართსა ხნავს“ და მათ მიერვე მიტოვებული თუ გაყიდულ-გადაბურდავებული ოჯახების, ბინების, სახლებისა და უამრავი სხვა მატერიალურ-მორალურ ფასეულობათა აღდგენა იოლი საქმე აღარ არის.

„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!“ შინ იყავით და გარეთ იწვედით, ეხლა რაღა გიშველოთ?! ყველა გზააცდენილის უპირველესი ვალია გამოიჩინოს კეთილსინდისიერება მამა-პაპათა სამშობლოსადმი, წინაპართა საფლავებისადმი, აქ დარჩენილ მოკეთე-ნათესავებისადმი, პატივი სცეს ერს, რომელმაც იგი საუკუნეების მანძილზე შეინახა თავისი პურით, თავისი ღვინით, თავისი სიყვარულით, სულგრძელად იგუა ზოგ-ზოგ მათგანის ფიქნიობა, რაც არც თუ იშვიათად ახალისებდა ზოგიერთს, ვეტყვით ყველას, ვისაც თავისი ბალღები დაუზრდია ქართველი გლეხის მოყვანილი, რაჭველი კაცის მიერ უბნის უამრავ თონეებში მწვავე ოფლით დაკრული ქართული შოთით, ლავაშითა და პურით, ვეტყვით ყველას, ვისაც იმ პურის მოყვანაში არასოდეს მიუღია მონაწილეობა, ყველას ვეტყვით — მოიკრიფოს სინდისის ნატამალი, თქვას სიმართლე — უპირველესი საწყისი ყველა ამქვეყნიური სიკეთისა — და ამით გარდუვალ დაღუპვას გადაარჩინოს თანატომნი, ნათესავები, მოკეთენ

„ბოროტსა ძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“ ქართველი კაცი იყო, არის და მარადის ძმა იქნება ყველა თბილისელისა, ჩვენი ებრაელებისა, რომლის ხვედრი ყველა ჩვენგანის სულს ააღელვებს, სიკეთე გაახარებს, სიმწარე კი გულს ატკენს, რადგან ინტერნაციონალიზმი, ძმობა და ერთობა ჩვენი ეროვნული თვისება და გარდუვალი მოთხოვნილებაა ყველას მიმართ, უკლებლივ, რადგან ჩვენს ეროვნულ დროშაზე ოდითგანვე ოქროს ვარაყით არის ამოქარგული ძმობა, ერთობა და სიყვარული.

# საქართველო — სლოვაკია

27-30 მარტს თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის გივი მიქელაძისა და სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშენებლობისა და ტექნიკის მინისტრის იურაი ბუშას მოლაპარაკება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დარგში თანამშრომლობის საკითხზე.

30 მარტს ხელი მოაწერეს მოლაპარაკების ოქმსა და თანამშრომლობის გეგმას. გათვალისწინებულია საქართველოსა და სლოვაკიის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, დაგეგმვის, მართვისა და დაფინანსების დარგში გამოცდილების გაზიარება და ინფორმაციის გაცვლა. კერძოდ, წლეულს ივლისში გათვალისწინებულია ბრატისლავაში გაიმართოს სპეციალისტთა შეხვედრა საქართველოსა და სლოვაკიის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დაგეგმვის საკითხებზე გამოცდილების გაზიარების, შესაბამისად საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმებთან და რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმებთან ამ გეგმების შეთანხმების მიზნით.

1972 წლის ოქტომბერში თბილისში გათვალისწინებულია მოეწყოს სპეციალისტთა შეხვედრა კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების მართვის დარგში გამოცდილების გაზიარებისათვის და ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხებზე.

განხორციელდება ერთობლივი კვლევა მავნებლებისაგან ტყეების დაცვის, მერქნის დამზადებისა და გადამუშავების ტექნოლოგიისა და მექანიზაციის, მევენახეობაში, მეღვინეობასა და მებაღეობაში, ალპური ნაოჭა არეების გეოლოგიაში აგროტექნიკური და ბიოქიმიური მეთოდების ეფექტიანი გამოყენების პრობლემებზე.

მხარეების წარმომადგენლები 1973 წლის პირველი კვარტალის პირველ ნახევარში ერთმანეთს შეხვდებიან ქალაქ ბრატისლავაში, რათა განიხილონ 1972 წლის თანამშრომლობის შედეგები და განსაზღვრონ 1973 წლის თანამშრომლობის გეგმა.

მოლაპარაკების ოქმსა და თანამშრომლობის გეგმას ხელი მოაწერეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გივი მიქელაძემ და სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშენებლობისა და ტექნიკის მინისტრმა იურაი ბუშამ.

ოქმისა და თანამშრომლობის გეგმის ხელმოწერას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ბორის ლომიძე, გიზო დოლიძე, ნოდარ ლელაძე, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სოციალისტურ ქვეყნებთან მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ალექსი ალექსანდროვი, ამ სამმართველოს უფროსი ექსპერტი პავლე პიროგოვი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრი ვახტანგ დიდებულიძე. ამ კომიტეტის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის განყოფილების უფროსი რუსლან ქვარცხავა, სლოვაკიის მხრივ — სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკის განყოფილების უფროსი იან გრაჩი, სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშენებლობისა და ტექნიკის სამინისტროს სამმართველოთა უფროსები დუშან ბოგაჩი და ალოიზ პრახარი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტექნიკის განვითარებისა და კაპიტალური მშენებლობის სამინისტროს სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი ექსპერტი იოზეფ მაცაკი.

# ქართულ-ფრანგული ლექსიკონი

რაც მეტი უცხო ენა იცის ადამიანმა, მით უფრო ვრცელია მისი თვალსაწიერი. ერის კულტურა ნათარგმნ წიგნთა ოდენობითაც აღინუსხება. ყოველივე ამის საწყისად კი ლექსიკონი ითვლება. ამ სფეროში განუზომელია პროფესორ ისიდორე გვარჯალაძის ღვაწლი.

ნახევარ საუკუნეზე მეტია ისიდორე გვარჯალაძე ერთგულად ემსახურება ქართულ ლექსიკოგრაფიას. მრავალი მეთოდური სახელმძღვანელოთი და ლექსიკონით გაუმდიდრებია ჩვენი კულტურის სავანძური. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ფრანგული ენის შესწავლელად მიაწოდა ისიდორე გვარჯალაძის და ეთერ ლებანიძის მიერ შედგენილი ვრცელი ქართულ-ფრანგული ლექსიკონი (50000 სიტყვა). ლექსიკონს დართული აქვს ქართული ენის გრამატიკის მოკლე ცნობარი-ალბომი, რომელიც შეადგინეს პეტრე ლორთქიფანიძემ, ეთერ გელაშვილმა და სერგო დვალმა. ამ ლექსიკონს ფრანგულმა ენის შემსწავლელთა გარდა, ყელდებოდნენ ისინიც, ვინც საზღვარგარეთ ეუფლება ქართულ ენას.

ჰანს ფოქტი — ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი:

„დიდად პატივცემულო ბატონო!

დღეს მივიღე სამი სიტყვარი-ლექსიკონი, რომელიც თქვენ გამომიგზავნეთ, დიდად გამადლობთ, განსაკუთრებით ჩემი მოწაფეებისათვის გამოსადეგი იქნება. რაც ძალიან მინდოდა და რაც დღემდე გვაკლია, ეს არის დიდი ლექსიკონი ქართულიდან ფრანგულ ენაზე. ჩემი მოწაფეები სიძნელით სარგებლობენ (სტილი დაცულია) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით, როცა ქართულ ტექსტს კითხულობენ და არც იმდენი რუსული იცით. ეს დიდი ამოცანაა ქართველი ენათმეცნიერებისათვის“.

კალე სალია — ჟურნალ „ბედი ქართლისას“ დირექტორ-გამომცემელი:

„დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

უღრმეს მადლობას მოგახსენებთ თქვენი ლექსიკონებისათვის... ქართული ენის მასწავლებლებს აქ სახელმძღვანელოები არ მოეპოვებათ. რამდენი ხანია სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ტრიომფი მთხოვს ფრანგულ-ქართულ თვითმასწავლებელს... ჩემთან მოდის და მავნიტოფონზე იწერს ქართულის გაკვეთილებს, რომ შესძლოს ლექციების წაკითხვა უნივერსიტეტში. ასეთ მდგომარეობაში სხვებიც არიან. ძალიან გთხოვთ ამას ყურადღება მიაქციოთ“.

იგივე თხოვნა იკითხება პრისტონის უნივერსიტეტის პროფესორ დათო ჯაფარიძის, ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორის რენე ლაფონისა და სხვათა ბარათებში.

ისიდორე გვარჯალაძე ძალღონეს არ იშურებს, რათა დროულად მიაწოდოს როგორც აქეთურ მსურველთ, ისე საზღვარგარეთ ქართველოლოგებს ესოდენ საჭირო სახელმძღვანელო თუ ლექსიკონი. მისი ღვაწლის დამფასებელნი კი მადლობით აღსავსე ბარათებს უგზავნიან. აი ახლახან მიღებული ბარათიც:


„დიდად პატივცემულო ბატონო,

დღეს მივიღე თქვენი ახალი ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, რომელიც შესანიშნავად ავსებს, ასრულებს თქვენი ლექსიკონების სერიას. ეჭვი არ არის რომ ქართული ენის მოყვარულებს საზღვარგარეთ ძალიან გამოადგება. ყველას არ აქვს დიდი განმარტებითი ლექსიკონი და ვინც ქართულ ენას კარგად არ ფლობს, ვერ იხმარს ადვილად. ძალიან დიდი სამსახური გაუწევთ თქვენს სამშობლოს და თქვენი სამშობლოს უცხოელ მეგობრებს, იმიტომ დიდ მადლობას გითვლით. თქვენი თანამშრომელი ე. ლებანიძე, რომელსაც არ ვიცნობ მოიკითხეთ და იმასაც გადაეცით ჩემი მადლობელი სალამი.

ეულწრფელად თქვენი
ჰანს ფოქტი“.

• • •

**სურათზე:** ოსლოს უნივერსიტეტის რექტორის ჰანს ფოქტის წერილის ფოტოპირი.



# გერმანულ ჟურნალებში

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალებში ხშირად იბეჭდება ქართველი გერმანისტის ნოდარ რუხაძის სტატიები. ჟურნალში „ფიურ დიხშე“ („შენთვის“) 1971 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა მისი ვრცელი სტატია — „ფიქრები ქართულ მაგიდასთან“. ამ წერილში ქართული ადათ-წესებით დაინტერესებული გერმანელი მკითხველი გაეცნო ქართული ლხინისა თუ ჭირის სუფრის ტრადიციებს. სტატიას ამშვენებს ნიკო ფიროსმანაშვილის „ქართული ლხინის“ რეპროდუქცია. ჟურნალის თავფურცელზე კი მსხვილი ასოებით არის გამოყოფილი წარწერა — „ქართული სუფრის ადათ-წესები“.

შარშან ნოდარ რუხაძე გერმანიის ხელოვნებათა აკადემიამ მიიწვია ბერლინში ჰაინრიხ მანის 100 წლისთავის საიუბილეო კონფერენციაზე.

ინტერნაციონალურ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელშიც მრავალი ქვეყნის მეცნიერები მონაწილეობდნენ, ჩვენმა თანამემამულემაც წაიკითხა რეფერატი. გერმანიის ხელოვნებათა აკადემიის ჟურნალის „არბაიტსჰეფტის“ მერვე ნომერი მთლიანად მიეძღვნა ამ იუბილეს. სხვა საიუბილეო მასალასთან ერთად, ჟურნალის ნომერში გამოქვეყნებულია რუხაძის რეფერატიც — „ჰაინრიხ მანი და საქართველო“.

# ქართული წიგნი საერთაშორისო გაზრდა-გამოფენაზე

წიგნის საერთაშორისო წელიწადთან დაკავშირებით ეხლახან კაიროში გაიხსნა წიგნის მსოფლიო ბაზრობა, სადაც გაიგზავნა საქართველოში გამოცემული 180-ზე მეტი წიგნი. მათ შორის არის შალვა ამირანაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორია“, სერგო ჭობულაძის ნამუშევართა ალბომი, „ქართული ხელნაწერები“, ქართლოს კასრაძის „ტრიუმფით მსოფლის გზებზე“, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებთა მინიატურული გამოცემა, კრებულები — „ქართველი პოეტები ლენინს“ და „ჩემი კომკავშირი“, სიმონ გუგუნავას „თამარიანი“.

წლეულს ივნის-ივლისში პრაღაში გაიმართება წიგნის საერთაშორისო ბაზრობა, სადაც გაიგზავნება ჩვენი რესპუბლიკის გამომცემლობათა 55 დასახელების წიგნი, მათ შორის გრიგოლ ჩრდილოელის გრაფიკულ ნამუშევართა ალბომი „თქმულება შოთა რუსთაველზე“, სევერიან მაისაშვილის „მინიატურები“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, ნოდარ ჯანბერიძის „საქართველოს არქიტექტურული ძეგლები“, გია ნადარეიშვილის „რჩეული ეტიუდები“ რუსულ ენაზე და სხვა.

სექტემბერ-ოქტომბერში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ მაინის ფრანკფურტში მოეწყობა საბჭოთა კავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის საერთაშორისო ბაზრობა. ჩვენი რესპუბლიკიდან გაიგზავნება 1971-1972 წლებში გამოცემული საუკეთესო წიგნები, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძის „რჩეული“ ორ ტომად, ედიშერ ყიფიანის „ცაში ასროლილი ქუდები“, ვახტანგ ონიანის „ლადლერ“, „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ რუსულ ენაზე და მრავალი სხვა წიგნი.

# პირველად საზღვარგარეთ

„ქართული ხელოვნების შესანიშნავი დესპანი“ — ასე უწოდა პოლონურმა გაზეთმა თბილისის ოპერის დირიჟორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ჯანსუღ კახიძეს, რომელიც ორ წელზე მეტია ლოძის დიდ თეატრში მუშაობს, დირიჟორობს, დგამს ახალ სპექტაკლებს. კახიძეს დიდი საპატიო მისია აკისრია — პირველად საზღვარგარეთ დადგას ქართული კლასიკური მუსიკის მარგალიტი, ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“, რომელსაც პოლონელები მაისის პირველ რიცხვებში მოისმენენ.




კაიროში, საბჭოთა კულტურის ცენტრში გაიმართა საქართველოსადმი მიძღვნილი არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საღამო. საღამოს დასასრულს, რომელიც საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ხალხთა მზარდი მეგობრობისა და თანამშრომლობის დემონსტრაციად გადაიქცა, დიდი საკონცერტო პროგრამა წარმოადგინა საქართველოს ვოკალურ-საკრავიერმა ანსამბლმა „ივერიამ“, რომელიც იქ გასტროლებზე იმყოფება. დამსწრენი ანსამბლს გულთბილად შეხვდნენ.

# „ი ვ ე რ ი ა“

არც ისე დიდი ხნის წინათ ჯემალ ბაღაშვილი ინჟინერ-მეტალურგი იყო, ვახტანგ ტატიშვილი — ფიზიკოსი. ლუიზა კობალაძემ და ნანა ჭიჭინაძემ პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრეს, ვალერი ლომძემ — უცხო ენათა ინსტიტუტი. სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდები სიმღერის სიყვარულმა დაამეგობრა და მალე გამოძებნეს საერთო ენა „ნაფიც“ მუსიკოსებთან — თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულებთან, დირიჟორ ავთანდილ მამაცაშვილთან, კონტრაბასისტ ალექსანდრე ბასილაიასთან, მევიოლინე და ვოკალისტ ალექსანდრე მამიკონიანთან. ამ ჯგუფს ბორის ბელიაევი, თეიმურაზ წიკლაური შეუერთდნენ და შეიქმნა „ივერია“.

ახლად ჩამოყალიბებული ანსამბლისათვის დაოსტატების ნამდვილი სკოლა გახდა საგასტროლო მოგზაურობა საბჭოთა კავშირის ქალაქებში. დაზუსტდა პროგრამა, დაიხვეწა საშემსრულებლო მანერა. „ივერიელებს“ მალე ანდეს საპატიო მისია: ესტონეთში საქართველოს კულტურის დღეებში წარმოედგინათ ქართული საესტრადო ხელოვნება.

ესტონეთში წარმატებით გამოსვლებს ახალი აღიარება მოჰყვა: ერთი თვე კონცერტები მოსკოვის დიდ საკონცერტო დარბაზებში, გასტროლები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთში. ცენტრალურმა ტელევიზიამ გადაიღო სამნაწილიანი ფილმი „მღერის ივერია“. ცოტა ხნის წინათ კი „ივერია“ ეგვიპტეში გაემგზავრა საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობისათვის. შემდეგ ანსამბლს ელის ორთვენახევრიანი ტურნე ახლო აღმოსავლეთში — კუვეიტში, იემენში, იორდანიაში...

რითი გვხიბლავს „ივერია“? დიდი მუსიკალური კულტურა, არასტანდარტული რეპერტუარი, შესანიშნავი ხმები, სცენური სილაღე და უდიდესი სურვილი — ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ მოაჯადოონ მსმენელი, აგრძნობინონ ნამდვილი, ჭეშმარიტი ხელოვნების მთელი სილამაზე.

„ივერიის“ პროგრამა მრავალფეროვანია, სავსეა ლირიკით, იუმორით. ნატიფად ასრულებენ ახალგაზრდები ურთულეს ქართულ მრავალხმიან სიმღერებს, რაც „ივერიელთა“ რეპერტუარის ძირითადი ნაწილია.

„ივერიელთა“ სიმღერების გამოკვეთილობა და მრავალხმიანობის განსაკუთრებული სილამაზე საკავშირო პრესაში არაერთხელ შეუდარებიათ ქართული ჭედურობის პოეტურ ორნამენტებთან. „რაჭული დალოცვა“, „ქალაქური სატრფიალო“, „არხალალო“, „კრიმანჭული“, „იმერული მგზავრული“ და სხვა ხალხური სიმღერები „ივერიის“ რეპერტუარის ნამდვილი მშვენებაა.

ახალგაზრდები ხშირად მიმართავენ კომპოზიტორების გიორგი ცაბაძის, ოთარ თევდორაძის, ვაჟა აზარაშვილის შესანიშნავ ქმნილებებსაც.


იუმორი ისეთივე დამახასიათებელია „ივერიისათვის“, როგორც ლირიზმი. მომხიბლავია ჟანრული სურათი „ჩაგუნა“, რომელშიც მსახიობები აშურავნებენ ხალას იუმორისტულ ნიჭს, სცენურ სილაღეს, მხიარული და გრაციოზულია მუსიკალური ხუმრობები „ძველი ფირფიტები“, „ჩარიგამა“, „ივერია“ ხმის ჩამწერ სტუდიაში“, „ბრემენელი მუსიკოსები“, „ეს სიმღერა ვისია“...

„ივერიის“ მსახიობები უნივერსალები არიან. ანსამბლის ხელმძღვანელი ალექსანდრე ბასილაია, რომელიც ბევრ ნომერში ბრწყინვალედ ასრულებს სოლოსა თუ ტემპერამენტიან აკომპანემენტს, როიალთან გიტარით ხელში ახერხებს საუცხოოდ შეასრულოს ხან ერთი, ხან მეორე პარტია. ამას ემატება მისი სოლო და თრომბონსა და იონიკაზე შესრულებული მხიარული, მახვილი პასაჟები.

შეიძლება დაუსრულებლად ილაპარაკო „ივერიის“ თითოეულ წევრზე, „ივერიელები“ ჭეშმარიტად ბრწყინვალე შემსრულებლები არიან, გემოვნებითა და წმინდა საესტრადო ჩვევებით გამორჩეულნი.

ჩვენს ფილარმონიას „ივერიამ“ შემატა ნიჭიერი კოლექტივი, რომლის თაყვანისმცემლებს თბილისის ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზიც კი ეპატარავებათ...

ლია ჩიქოვანი



ანსამბლი „ივერია“.

# პოზნანელი ქალიშვილი ქუთაისში

ნინო კვალიაშვილი პოლონეთში დაიბადა და გაიზარდა. დედა პოლონელი ჰყავს. მამა—მიხეილ კვალიაშვილი, სამი ქალიშვილის მამაა: მაიკო ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერი მუშაკია, მანანა — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, ნინო — ბავშვთა სანატორიუმის ლაბორანტი.

მიხეილი წლების მანძილზე სამხედრო მუზეუმის დირექტორ-ადმინისტრატორი იყო. ხშირად ხვდებოდა საბჭოთა კავშირის დელეგაციებს, მათ შორის ქართველებს და სამშობლოს სიყვარულს მათთან საუბრით იჭარვებდა...

1962 წელს პოლონეთს ეწვია ქუთაისის კულტურის სახლთან არსებული ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი, რომელმაც კონცერტები გამართა ვარშავასა და პოზნანში. სხვა მაყურებლებთან ერთად მიხეილიც აღაფრთოვანა და აღიგრძნო თვალწარმტაცმა ქართულმა ცეკვებმა. სამშობლოდან მოშორებულმა კაცმა ახლობლებივით მიიღო ქართული ხელოვნების დესპანები და ოჯახიც გააცნო. სწორედ ამ შეხვედრამ დააწერინა ლექსი „მანანა“ პოეტ ზურაბ კუხიანიძეს, რომელიც მაშინ დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდა...

ქუთაისის კულტურის სახლთან არსებული ლენინური კომკავშირის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი 1969 წელს კვლავ ეწვია პოლონეთს, ვარშავასა და სხვა ქალაქებში წარმატებით გამართა კონცერტები. ცხადია, ანსამბლის წევრები გაეცნენ პოლონეთის ღირსშესანიშნაობებს და კვლავ ეწვივნენ მიხეილ კვალიაშვილს.

ანსამბლის დიდი წარმატებით გახარებულმა მიხეილ კვალიაშვილმა პოლონეთში მცხოვრები ქართველების სახელით გულთბილი მადლობით აღსავსე წერილი მოიწერა, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ქუთაისის“ ფურცლებზე.

მიხეილი შვილებს საქართველოს სიყვარულს თავიდანვე უნერგავდა, მაგრამ სულ სხვა იყო თანამემამულეებთან შეხვედრა. ამ შეხვედრამ უფრო მეტად აღაგზნო პოზნანელი ქალიშვილები, მეტი სითბო და სიხარული მოჰფინა მათ გულს, სამშობლოს ნახვის სურვილი გაუსაკუთა.

კვალიაშვილების ნათესავები თბილისსა და გორში ცხოვრობენ. და აი ორი წლის წინათ მიხეილი მანანასთან ერთად დიდი ხნის უნახავ სამშობლოს ეწვია.

წლეულს კი ოცნება ნინომ აისრულა...

თეთრი თოვლი ფარავდა ქუთაისის ქუჩებსა და სახლებს, ხეები თოვლით იყვნენ დაბარდნილნი. შავგვრემანი, საშუალო ტანის ჰოზნანელი ქართველი ქალიშვილი, თვალებში ცეცხლი რომ უგრთოდა, ამაყად დააბიჯებდა ქართულ მიწაზე და მისი განუმეორებელი სურნელებით ტკბებოდა.

ცრემლს მალავდა ნინო, გრძნობამორეული გულში იკრავდა პოლონეთის მიწაზე გაცნობილ და დამეგობრებულ ქუთაისელ ახალგაზრდებს. გულს უჭირდა მოზღვავებული გრძნობების დატევა.

რას განიცდიდა პოლონეთში მცხოვრები ქართველი ქალი?

— ეს არის საოცარი, ტკბილი და მწარე გრძნობები, ერთმანეთში ღიმილად და ცრემლად არეული... ისე მგონია, ამ მიწაზე დავიბადე, აქ შევხედე პირველად ცის ლაჟვარდს. ეს გოგონები და ბიჭები კი... თითქოს დიდი ხნის უნახავი და-ძმანი არიანო ჩემი!

გატაცებით ჰყვება ნინო იმ დიდ სიყვარულსა და მოწონებაზე, ქუთაისელმა ახალგაზრდებმა რომ დატოვეს პოლონელი მაყურებლის გულში. თვალდანამული შეჰყურებს იგი სიცოცხლითა და სილამაზით სავსე გოგონებსა და ჭაბუკებს. ვინ იცის, რამდენ რამეზე სწყდება გული? იქნებ იმაზეც, რომ დედაენის მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იცის?

ამაღელვებელი იყო ცხრა წლის უნახავი სტუმარ-მასპინძლის — პოეტ ზურაბ კუხიანიძისა და ნინოს შეხვედრა. პოეტს თან მოეტანა ლექსების კრებული, ყველანი სმენად იქცნენ. „მანანა. პოზნანში მცხოვრებ ქართველ ქალიშვილს!“... თრთოლვით დაიწყო ზურაბმა.

ვინ იცის, ქუთაისელებს რამდენჯერ წაუკითხავთ და მოუსმენიათ ეს ლექსი, მაგრამ დღეს სულ სხვა იყო...

ლექსს ისმენს მანანას და—ნინო... თავს ვეღარ იმაგრებს, ტირის.

პოეტმა კრებული ავტოგრაფით ნინოს გადასცა.

— დიდი მადლობა, ზურაბ! დიდი მადლობა, ჩემო ძმაო! — ქართულად ამბობს ნინო და მოწიწებით დასჩერებია ძვირფას საჩუქარს.

ქართველმა ქალიშვილმა სხვა საჩუქრებიც მიიღო — სამახსოვრო „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურული გამოცემა, „დედაენა“...

...ფეხით მოიარა ნინომ ქუთაისი. დაათვალიერა ბაგრატის ტაძარი, ეწვია გელათს.

მაგრამ... ყველაფერს დასასრული აქვს... სამშობლოში სტუმრობასაც! წავიდა პოზნანელი ქალიშვილი და თან წარიტანა მშობლიური ქვეყნის სიყვარული!

ეთერ ჭორჭოლიანი

ლენინურ პრემიაზე წარდგენილი

# ქამი დგას,





სურათებზე: მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი; გიორგი საკაძის ძეგლი კასპში.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტოები.

მიქელანჯელოს რომელი ნაწარმოებიც უნდა ნახოთ, ვერასოდეს წარმოიდგენთ, რომ მან თქვა — რატომ გავჩნდი ამ ქვეყანაზეო?

...ბევრი გამოჩენილი ადამიანის სახლ-მუზეუმი მინახავს: გოეთესი, ტოლსტოისი, ვაჟასი, მაგრამ ენათგაკრეფილ ექსკურსიათმძღოლებს ისეთი არაფერი უჩვენებიათ, რომ ამ გენიოსთა ქმნილებებს რაიმე შემატებოდა...

შილერის საძინებელ ოთახში ერთი აზრი ამეკვიატა: გენიოსები ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენგან არ განსხვავდებიან, ეს ნივთები ღმერთებად ქცეულთ კვლავ ადამიანებად აქცევენ!

მაშ რატომ თქვა მოისეის ავტორმა, რატომ გავჩნდი ამ ქვეყანაზეო, არ იცოდა თავისი დანიშნულება?

მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში უკვდავნიც, ჩვენ გვგვანან და მოკვდავთა წესით ცხოვრობენ!..

მწერლის ნამდვილი სიცოცხლე სიტყვაშია, მუსიკოსისა — ბგერაში, მხატვრისა — ფერში, მოქანდაკისა — მოცულობაში!

კაცი თავისი შემოქმედებაა და არა ის, რასაც ქალს წასჩურჩულებს ან სხვა, გასართობი საქმიანობის დროს წამოსცდება! ამიტომ არ მჯერა არც ბოროდინის ქიმიკოსობისა, არც მიქელანჯელოს პოეტობისა და არც ჩეხოვის ექიმობისა...

მაშ რატომ წერენ ამდენს ავტორთა პირად ცხოვრებაზე? ურთიერთობაზე, ხასიათზე!.. რატომ იწერება ამდენი ავტობიოგრაფიული რომანი, რატომ მოიცალეს შემოქმედთათვის (და არა შემოქმედებისათვის!) რომენ როლანმა, სტეფან ცვაიგმა, ანდრე მორუამ...

* * *

მერაბ ბერძენიშვილის სახელოსნოში ბუხართან ვსხედვართ და ამაზე ვსაუბრობთ. მარტონი ვართ, გარეთ ცივა... დიდი ხანია თბილისში ესეთი სიცივე არ ყოფილა...

შავი ღვინო, ჩხავერი მგონია — მეშლება, მასპინძელი იცინის, გურული რომ ვარ... იმიტომ გგონია ჩხავერი, მე კახური ღვინის მადლის გარდა არაფერი მწამსო!

ტელევიზორია ჩართული, იური ჟუკოვმა („პრავდის“ მიმომხილველმა) თქვა, მატისზე წიგნი გამოიცაო, აქედან დაიწყო ჩვენი საუბარიც...

ვაჟა-ფშაველას ძეგლის პროექტს ვუყურებ...

მერაბს დიდი ხანია ვიცნობ, 30 წელიწადია. 40 წლის კაცს რომ ოცდაათ წელიწადს იცნობ, ბევრი ითქმის, აბა ახალგაცნობილ კაცთან უცებრად მიქელანჯელოს ლექსებზე ლაპარაკი ძნელია...

მერაბი ეხლა ჰოლანდიურ შთაბეჭდილებებს წერს, უფრო სწორად, ხატავს...

აქვეა პარიზული ჩანახატებიც, პარიზში არ ვყოფილვარ, მაგრამ ისე მგონია, ამ ქალებს მეც პარიზელებს დავარქმევდი!...

მერაბს ვიცნობ როგორც მოქანდაკეს, როგორც მხატვარსა და როგორც კაცს — მოქალაქეს...

დათო ცაცანაშვილი, თენგიზ კეკელიძე, რეზო შარაბიძე... ბავშვობის სხვა მეგობრები... თბილისი, რუსთაველი, სამხატვრო აკადემია, საჯარო ბიბლიოთეკა (სადაც მისი სადიპლომო ნამუშევარი დგას), სახელოსნო, საჩამომსხმო ქარხანა, ოჯახი, დედმამიშვილი, მეგობარი — აი მისი ცხოვრება.

უბრალო ქართველი, ავკარგიანი კაცი.

როცა საერთოდ ხელოვნებაზე ლაპარაკობს, ჩანს კინოსკენ გაურბის თვალი.

...კინოსკენ მერაბის ლტოლვა შემთხვევითი არ არის, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილს უჩვეულოდ იტაცებს მოძრაობა... ჩემი აზრით, მთელი მისი შემოქმედების საიდუმლოა, დაიჭიროს მოძრაობა, კი არ გაყინოს, პირიქით, დაიჭიროს მოძრაობა.

იგი მშვენიერს მოძრაობაში ხედავს და აინტერესებს შეინახოს ის, რაც მიდის, რაც მიედინება...

საქართველოში არ შეიძლება შეჩერდეს არც მდინარე, არც კაცი, არც ქანდაკება!...

* * *

შემთხვევით შეიძლება კაცს თოფი გაუვარდეს, რამე იპოვოს ან დაკარგოს, მაგრამ შემთხვევითი აღიარება — შეუძლებელია!

მერაბ ბერძენიშვილის ხუთი ბრინჯაოს ქანდაკება დგას თბილისში, ბიჭვინთაში, კასპში, მოსკოვში...

მე შორსა ვარ პროფესიული „იზმებისაგან“, ყოველგვარი „მცოდნეობისაგან“... ვწერ კაცზე, რომელსაც ვიცნობ და რომელიც მესახელება... რომლის ხელსაქმე (ღრმად მწამს!) დარჩება საუკუნეებს...

* * *

გურამიშვილის ქანდაკება ჩემი უსაყვარლესი ქმნილებაა, ისევე მიყვარს, როგორც გურამიშვილი, როგორც „აბესალომ და ეთერი“, როგორც „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“...

ბედნიერად მიმაჩნია ყველა, ვინც იცის, რას ნიშნავს ეს ძეგლი საქართველოსთვის...

ქართულ პოეზიაში დავით გურამიშვილზე უკუღმართი ბედის პოეტს იშვიათად ნახავთ. ამ ქანდაკების დედააზრი მგოსნობაა, მწიგნობრობა!..

„მშვილდს მომიწივა მუხთალმა, ისარი გულში მამასო,
არ მომცა ძე, არც ასული, არვინ მიძახის „მამასო“,
მან დამიჩაგრა კონება და მტერი თავსა მამასო,
დავჯექ და ლექსვა დავიწყე, ვსთქვი თუ ვიშვილებ ამასო“...

მირიან ბატონიშვილმა ეს წიგნი რომ არ დაუკარგა ქართველერს, მარტო ამით არის სანუკვარი და პატივსაცემი!

გურამიშვილს ისე სასოებით უჭირავს ხელში ეს წიგნი, როგორც უამრავ მადონას ღვთისმშობელი: „ვთქვი თუ ვიშვილებ ამასო!“

მსოფლიოს ყველა მართლმსაჯულების სასახლეს დაამშვენებდა მისი სტრიქონები:

„მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან,
ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა,
მე ვერ ვიტყვი კახაბერად!“

* * *

ვერაზე, ჩვენს უბანში, სადაც მერაბი გაიზარდა, ერთი ვიწრო, ხმაურიანი ქუჩა იყო, ჯერ წყნეთის ქუჩა ერქვა, მერე მელიქიშვილისა, დღეს აქ ყველაფერი ახლებურად არის, ძველის გახსენება შორს წაგვიყვანს...

სწორედ ამ მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩების კუთხეში ეხლა მშვენიერი ფილარმონია ააგეს და მის წინ ბრინჯაოს რვა მეტრიანი ქალის ქანდაკება აღმართეს.

იმდენი დინამიკაა ამ ქალში, იმდენი ძალა და სიცოცხლე, რომ ყოველ მისვლაზე ისე მგონია, სხვაგან დამხვდება, გადაინაცვლებს, ეს არის ძლიერი და მშვენიერი ერთად!...

* * *

დიდი ხანი არ არის, რაც ქართული მუსიკის გენიის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი აღვნიშნეთ. ოპერის ბაღში „საქართველოს ბულბულის“ ვანო სარაჯიშვილის გვერდით განისვენებს ზაქარია.

საზეიმო დღეებში, მთელი ქვეყანა რომ სტუმრად იყო ჩამოსული, დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა ფალიაშვილის ძეგლი...

მუსიკა, ისე როგორც მხატვრობა და ქანდაკება, ბედნიერ სელოვნებათა რიცხვს ეკუთვნის — თარგმნა არ სჭირდება. დიდია ზაქარია, ძნელია დაუდგა ძეგლი „დაისის“, „აბესალომის“ ავტორს, ჩვენი მუსიკის პირველ მეჩირაღდნეს (ტყუილად არ უჭირავს მას ხელში ჩირაღდანი!), შენც უნდა შექმნა, არა მსგავსება, არამედ ქმნილება მისი სადარი, მისი საკადრისი!

როცა ოპერის თეატრში „აბესალომ და ეთერი“ მიდის, როცა ზაქარიას ძეგლთან ბავშვებს ყვავილები მიაქვთ... როცა წარმოვიდგენ, რომ წუთისოფლის წესია „ჩვენ წავიდეთ და სხვა დარჩეს“... წარმოვიდგენ, რომ წლები გავა, საუკუნეები გავა და მერაბის ეს ნამოღვაწარი კვლავაც იქ იდგება, მაშინ ვგრძნობ, რა საქმე იკისრა და რა ნიჭიერება განფინა, რა სული შთაბერა ბრინჯაოს ამ ჩემმა თანამედროვემ!

* * *

გიორგი საკაძეს მსოფლიო ისტორიაში ალბათ ვერავის შეადარებ, საქართველოს ისტორიაშიც ცალკეა იგი...

ჩვენს ისტორიაში ისეთი ხმალ-ხანჯალი არ მოიძებნება, მტრის სისხლით არ იყოს გაპოხილი!

...მიწის კვნესას ჰგავდა გუთნისდედის სიმღერა, აბა, სად ყოფილა საქართველოს გარდა გუთანს მოკიდებულ გლეხს თოფი მხარზე ჰქონდეს გადაკიდებული...

საკაძე უკუღმართმა ბედისწერამ, ნიჭმა და ძალამ სპარსეთის უზარმაზარი იმპერიის სამხედრო მინისტრის პოსტამდე მიიყვანა, ხშვათა ომში წარჩინებას ჩვეული ქართველები სახელს ადვილად იხვეჭდნენ!

კასპში, იმ რაიონულ ცენტრში, სადაც გიორგი საკაძის მშობლიური სოფელი ნოსტეა, დგას „ბრინჯაოს ეს მხედარი“. გულადი, იქაური კლდეების ნანგრევივით მკვრივი, ძელქვასავით გაუღუნავი, მამაცი რაინდი... ლამის კვარცხლბეკიდან გადმოფრინდეს მერანი...

ომახიან მხედარს ძლივს უჭირავს სადავე.

პოეტ ოთარ მამფორიას მშვენივრად აქვს ნათქვამი:

„ქართლის მიწა ჩოხას კალთით დამქონდა,
მისთვის ღამე მითევია თეთრადა,
სხვა მიწაზე შავი მერნით დავქროდი
და ჩემ გულში საქართკელო ფეთქავდა!“...

ვის დაუკარგავს ღირსეული შვილი, რომ ჩვენ დაგვეკარგა — დიდ მოურავს დიდი ძეგლიც დავუდგით!

* * *

24 ხაუკუნისაა ევრიპიდეს „მედეა“. დიდი ბერძნული სიბრძნე დევს ამ კოლხიდელი ქალის ხასიათის გახსნაში... საუკუნეებია მსოფლიოს სცენიდან არ ჩამოდის ეს ზღვასავით მღელვარე დედაკაცი...

ამას წინათ საქართველოში ფრანგი დრამატურგის ანუის „მედეა“ დადგეს, დიდი წარმატება ხვდა. თუმცა ანუიმ, თუკი რამ საძრახისი საქციელი იყო, ყველა ამ ქალს მიაწერა.

ანუის იაზონი მედეას ეუბნება:

„დამალე ეგ სახელი სადმე ბნელ კუნჭულში, სადაც შენ სიხარულს მალავ, არც ერთი დედა არ დაარქმევს თავის ქალიშვილს მედეას სახელს, შენ ერთადერთი მედეა ხარ უკუნისიდან უკუნისამდე!“

რა იცოდა იმ ბრიყვმა იაზონმა, რომ ყოველ მესამე ქალს საქართველოში მედეას დაარქმევდნენ და კოლხები ძეგლს დაუდგამდნენ ამ ბობოქარ ქალს...

მერაბ ბერძენიშვილის „მედეა“ ბიჭვინთაშია. დიდი ვეებერთელა ხელი ნაზად ადევს ბალღს, იგრძნობა დედაშვილობის უსილავი ძაფი და დიდი სულიერი ქარტეხილის მოლოდინი. რომელი წერტილიდანაც უნდა შეხედოთ ბიჭვინთელ „მედეას“, ყოველი წერტილიდან იგრძნობა აფორიაქება, ქარაშოტი, ღელვა! ...განსაკუთრებით საოცარი სანახავია, როცა ზღვა ღელავს. მაშინ ერთიორად ღელავს „მედეაც“!

* * *

ჩვენი ერის ისტორიაში რუსთაველის დიდი წიგნი მარტო პოეტური ქმნილება არ არის, „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი სინდისნამუსია, ჩვენი სახარებაა!

შევარცხვინე ვაჟკაცი, რომელსაც არ ახსოვს, პირველად როდის წაიკითხა „ვეფხისტყაოსანი“!

# ქამი მიედინება!

ჩვენ აკვნიდან მოგვყვება რუსთაველის ტკბილი შაირი და ამიტომ ვართ საუკუნეებში ფესვგამდგარნი...

ჩვენ ბავშვობაში ყველა ვხატავდით რუსთაველს. მერაბიც ბავშვობიდან ხატავდა რუსთაველს, ხატავდა პატარაც, მოზარდიც, სტუდენტიც... ძერწავ რომ დაიწყო, ძერწავდა. პირველ კურსზე, მეორეზე, მესამეზე, მეოთხეზე, მეხუთეზე, მეექვსე კურსზეც ძერწავდა და მისი სადიპლომო ნახელავი რუსთაველი იყო... კარგა ხანი გავიდა, რუსთაველს მერაბმა ხელი არ უშვა, კიდევ ბევრი იმუშავა და...

1966 წელი. მოსკოვი. ბოლშაია გრუზინსკაია. მე იქ გახლდით, სხვის სიტყვას კი არა, საკუთარ თვალს არ ვუჯერებდი, რაც იქ ხდებოდა.

მოსკოვში რუსთაველის ძეგლი გაიხსნა, მთელი ქვეყანა იქ იყო, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის მოთავენი, ზღვა ხალხი. დიდი მიტინგი გაიმართა. ფარდა ნელა დაეშვა, გამოწნდა სულმნათი და ისეთი ომახიანი მრავალჟამიერი გაისმა ამ „ბოლშაია გრუზინსკაიაზე“, რომ კიდითკიდემდე ისმოდა ქართველთა გუგუნი!

ამ ზღვა ხალხში იყო ერთი ჩუმი, ტანადი ახალგაზრდა — ქანდაკების ავტორი მერაბ ბერძენიშვილი, მის გვერდით იდგა ერთი ბრგე კაცი, გრძელი თმითა და წარბებით, მისი მასწავლებელი პროფესორი ნიკოლოზ კანდელაკი...

მებრძოლს ჰგავს ჩვენი დიდი მგოსანი.

რა გასაკვირია, ჩვენში ერსაც და ბერსაც ჯავშანი ეცვა და ხმალს იქნევდა ოდით!

კვარცხლბეკზე დიდი ასოებით აწერია: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“...

ეს არის ქართველი კაცის სიცოცხლის არსი..

* * *

— რაზე გინდა იმუშაო, რა არის შენი ნატვრა? — ვკითხე მერაბს.

— რუსთაველი! — მოკლედ მომიჭრა.

— რუსთაველი?

— რუსთაველი... — დინჯად გაიმეორა. ისე, როგორც შეგირდი იმეორებს ამოცანის პირობას.

მივხვდი, რომ ამ კაცს ჯერ არ უთქვამს სათქმელი!

* * *

ბუხარში ცეცხლმა თანდათან იმატა...
ცეცხლმა იცის — თვალს მოგვტაცებს...
ათასნაირად ელავენ ცეცხლის ენები...

— ეხლა ამ ოჯახს გაუმარჯოს! — ვთქვი მე და წამოვიწიე.

შენც არ მომიკვდე, ვინ გაშვებს, სტუმარი ღვთისაო.

ვრჩები, ვივიწყებ დროსა და საათს... რა სჯობია ზამთრის გრძელ ღამეს, ბუხარს, კახურსა და საინტერესო კაცს...

...არაფრად ღირს ერთი ღამე ჩემს მასპინძელს, რადგან მას საუკუნო სიცოცხლე უწერია!

რევაზ დვალიშვილი

# ქარ-თული კინოს მეკვლე



ქუთაისი. მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. სწორედ აქედან გაიტაცეს არგონავტებმა ჰითიური ოქროს საწმისი და ღვთაებრივი მედეა...

მას შემდეგ ათასწლეულებმა გაირბინეს.

ქუთაისი ეხლა საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული ცენტრია. ისტორიული კოლხეთის ჭარმაგი დედაქალაქი ახალ სიჭაბუკეს განიცდის.

როგორც ყველა ძველ ქალაქში, აქაც შეხვდებით ისეთ ისტორიულ ადგილებს, უძველესი კულტურიდან დღევანდელ საუკუნემდე მოღწეული ნაბიჯების ხმაზე რომ მიგვანიშნებენ. ერთ-ერთი ამგვარი ღირსშესანიშნაობაა 200-საფეხურიანი კიბე, რომლითაც ადიხარ ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე. ამ კიბეებზე ხშირად შეიძლება შენიშნოთ ერთი ახოვანი დედაკაცი ხოლოშობილი და რაინდული იერის ჭაღარა კაცი, რომელსაც გამქელებული უღრესი მოკრძალებით ესალმებიან. მას „ძია ვასოს“ ეძახიან. ეს გახლავთ ვასილ ამაშუკელი — ქართული კინემატოგრაფიის ფუძემდებელი და პირველი კინოოპერატორი მთელ ამიერკავკასიაში.

ძნელი დასაჯერებელია, რომ წლევანდელი წლის 14 მარტს მას 87 წელი შეუსრულდა. ხანდაზმულობის მიუხედავად ყველას შეშურდება მისი ენერგია და ენთუზიაზმი. ვერ ელევა მშობლიურ ქუთაისს. თან თბილისშიც რომ ყოველთვის საქმე აქვს? ხან სახელმწიფო უნივერსიტეტში იწვევენ შემოქმედებით საღამოზე, ხან ტელევიზიაში გამოსვლაა საჭირო, ან კინო-ფოტო-ფონოარქივში საუბრის ჩაწერა. ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა, უკვდავი ფილმის „ჯვარისკაცის მამის“ ავტორმა რეზო ჩხეიძემ თავისი ახალი ფილმის მთავარ როლში მისი აყვანა გადაწყვიტა. გადაიღო სასინჯი კადრები და... ყველა გაოცებული და აღტაცებული დარჩა იმ გულწრფელობის გრძნობით, ვასილ ამაშუკელმა-მსახიობმა რომ გამოამჟღავნა.

დიდია ვასილ ამაშუკელის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. როგორც რევოლუციამდელი პერიოდის ყველა კინემატოგრაფისტი, ისიც თვითნასწავლი ხელოვანია. მხოლოდ პირადი ინტერესების, ხანგრძლივი ძიებისა და შრომის შედეგად დაეუფლა იგი „მეორე საუკუნის საოცრებას“ — კინემატოგრაფს, რომელიც ჯეთილ მეკვლედაც ითვლება მთელ ამიერკავკასიაში.

ვასილ ამაშუკელი დაიბადა 1885 წლის 14 მარტს ქალაქ ქუთაისში. პირველდაწყებითი სწავლა აქვე მიიღო. ჭაბუკობისასვე გამოამჟღავნა მიდრეკილება ხელოვნებისადმი, განსაკუთრებით გაიტაცა ფერწერამ და შეიძლა კიდეც სამხატვრო სასწავლებელში, რომელსაც მაშინ ცნობილი მსახიობი, მომავალში კი რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვასო ბალანჩივაძე ხელმძღვანელობდა.

1908 წლის აღრიან გაზაფხულზე ვასო ამაშუკელი შეუდგა თავის პირველ გადაღებებს ბაქოში: „ღუნიბის პოლკის აღლუმი კაპტან სიმონ ესაძის მონაწილეობით“, „ბაქოს ბაზრის ტიპები“, „ქვანახშირის ზიდვა ავლემებით“, „გემის გადმოტვირთვა“, „მუშაობა ნავთობის ჭაბურღილებთან“, „ნავთობის გადასხმა ტუმბოებით“ და სხვა.

1910 წელს ვასილ ამაშუკელი პავლე მეფისაშვილისა და ტიხონ ასათიანის მიწვევით მშობლიურ ქუთაისს დაუბრუნდა, რათა დაემონტაჟებინა და საექსპლუატაციოდ მოემზადებინა ქალაქის ახალი კინოთეატრი „რადიუმი“ (ეხლანდელი „კომუნა“).

ამ პერიოდს მიეკუთვნება ამაშუკელის მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმები „ექსკურსია ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან“, „მუშაობა ფერმაში“, „ქალაქის პეიზაჟები“, „ხონის აბრეშუმსაღები ფაბრიკის მუშაობა“, „ალექსი-მესხიშვილის იუბილე“ (აღსანიშნავია, რომ ეს სიუჟეტი გადაიღო შეორე ქართველმა კინოოპერატორმა ალექსანდრე დიღმელაშვილმა) და სხვა.

ყოველივე ამის მიუხედავად ვასო ამაშუკელი კინოს ისტორიაში შევიდა როგორც ავტორი პირველი სრულმეტრაჟიანი ქართული დოკუმენტური ფილმისა „ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 21 ივლისიდან 2 ავგისტომდე 1912 წ.“ ანუ „აკაკის მოგზაურობა“, როგორც მას უწოდებენ შემოკლებით.

ფილმი პირველად ქუთაისში აჩვენეს მაშინდელ „რადიუმში“. ყოველდღიურად ოთხ-ოთხი სეანსი იმართებოდა, მაგრამ მსურველებს მაინც ვერ აუღიოდნენ... შემდეგ ფილმი აჩვენეს თბილისში და, საერთოდ, მთელ საქართველოში. გაიტანეს მოსკოვში, პეტერბურგში, ხარბინში და სხვაგან.

„აკაკის მოგზაურობა“ მოქალაქისა და ხელოვანის თამამი გამოწვევა იყო. რუსეთის იმპერიაში რევოლუციამდელ კინოდოკუმენტალისტებს ამქვეყნიურ უფიქნდეს მოვალეობად მიაჩნდათ ფირზე აღებეჭდათ იმდროინდელი ოფიციალურად დაკანონებული ე. წ. „მეფის ქრონიკა“ მთელი თავისი ათასგვარი ვარიაციებითა და მანიპულაციებით. ვასო ამაშუკელმა კი დაარღვია ეს ტრადიცია და სრულმეტრაჟიანი (1.200 მეტრი) დოკუმენტური ფილმი უძღვნა არა მეფის ოფიციალურ ცერემონიალებსა თუ მეფისნაცვლის ზარ-ზეიმებს, არამედ მშობლიური ხალხის ეროვნულ პოეტს, განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს აკაკი წერეთელს და ამით ქართული კინო იმთავითვე ჩააყენა ხალხის სულიერი მოთხოვნილების სამსახურში. სწორედ ამით ვართ ყველაზე მეტად დავალებული ვასო ამაშუკელისაგან, რადგან მან ჩაუდგა ურყევი საფუძველი ქართულ ეროვნულ კინემატოგრაფიას და ნათლად განსაზღვრა მისი შემდგომი განვითარების კონკრეტული გზა.

საყურადღებოა ფილმის წმინდა მხატვრულ-კინემატოგრაფიული დონე. ვასო ამაშუკელი, როგორც ოპერატორი, იმ დროისათვის უჩვეულოდ მაღალ პროფესიონალიზმს ამჟღავნებს.

...ჟორჟ მელიე „ფრანგული კინოს მამა“, — სიცოცხლის ბოლო წლებში სრულიად მიივიწყეს, რკინიგზის რომელიღაც სადგურში სათამაშოებს ყიდდა. ვასილ ამაშუკელს კი ღირსეულად ხვდა წილად მშობლიური ერის სიყვარული და აღიარება. იგი ამჟამად საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და ჩვენი ერის ამაგდარი მამულიშვილია.

* * *

...ყველა ქალაქს აქვს თავისი ღირსშესანიშნაობა.

ქუთაისის, ამ უძველესი კოლხური ქალაქის ღირსშესანიშნაობა ისიც არის, რომ სწორედ აქ ცხოვრობს თანამედროვე მსოფლიოს უხუცესი კინემატოგრაფისტი, 87 წლის ვასილ ამაშუკელი.

გიორგი დოლიძე

# მოთხრობა იაკობ გოგებაშვილზე

ოსკოვში, მალაია გრუზინსკაიას ქუჩაზე. ერთი ლამაზი მუუდრო ბინაა, რომლის დიასახლისიც უკრაინელი მწერალი ქალი ოლღა რომანჩენკო. მისი ბინა ქართული ლიტერატურის ბიბლიოთეკას მოგაგონებთ. ქალბატონი ოლღა ნაყოფიერად მუშაობს ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში. მას რუსულად მრავალი ქართული მოთხრობა აქვს თარგმნილი. მისსავე კალამს ეკუთვნის „წინანდლის მფლობელი ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიის ფურცლები“.

ეხლახან გამომცემლობა „დეტსკაია ლიტერატურამ“ გამოაქვეყნა მისი ახალი წიგნი „მომავლის გვერდით“. ამ წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ:

„ოცი წლის წინათ კიევის ყურნალ „პიონერიაში“ დაიბეჭდა ქართულიდან თარგმნილი პატარა მოთხრობები. მოთხრობებს წინ უძღვის შესავალი წერილი ავტორზე — შესანიშნავ ქართველ საბავშვო მწერალსა და პედაგოგ იაკობ გოგებაშვილზე.

მოთხრობები თარგმნა და შესავალი წერილი წაუმძღვარა ახალგაზრდა მწერალმა ქალმა ოლღა რომანჩენკომ. მან ხელი მიჰყო ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლას და ამ გზაზე მას პირველ მეგობრად იქცა ქართული ენის სახელმძღვანელო, რომელიც მრავალი წლის წინათ იაკობ გოგებაშვილმა შექმნა.

ოლღა რომანჩენკომ ამ ხნის მანძილზე ბევრი წიგნი თარგმნა და გამოსცა ბავშვებისათვის, მაგრამ ის კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა საყვარელი ქართველი მწერლის შემოქმედებას. გამომცემლობა „დეტსკაია ლიტერატურამ“ დასტამბა მის მიერ თარგმნილი იაკობ გოგებაშვილის მოთხრობების კრებული „თხა და გიგო“. გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიასთვის“ რომანჩენკომ დაწერა ნარკვევი „იაკობ გოგებაშვილი“.

და აი ცოტა ხნის წინათ გამოვიდა ეს წიგნი — „მომავლის გვერდით“, რომლის ჩანაფიქრიც რამდენიმე წლის განმავლობაში ისხამდა ხორცს“.

# ინდოეთიც მალე გაეცნობა რუსთაველს

დიდ რუსთაველზე ძალზე ბევრი დაწერილა და თქმულა. საქვეყნოდ არის ცნობილი მისი ქმნილების ეროვნული სული, ზოგადსაკაცობრიო იდეები და დაუშრეტელი ჰუმანიზმი.

ბრძნულ აზრებს, მაღალ იდეებს, უშრეტ ჰუმანიზმს, რომელიმე ერის წარმომადგენელი ხელოვნურად რომ აქცევს, ეროვნულ ჩარჩოში არასოდეს გაიყვანება, დროთა ვითარებაში საკაცობრიო საუნჯედ გახდება, ყველა ერისათვის ხელმისაწვდომ ქმნილებად გადაიქცევა.

დღეს „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია, თარგმნიან და მრავალათასიანი ტირაჟით ბეჭდავენ საბჭოთა კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე, ევროპისა და ამერიკის მრავალ ქვეყანაში, აზიის ქვეყნებიდან კი მთლიანად მხოლოდ იაპონიაში, ჩინეთსა და მონღოლეთში ამეტყველეს მშობლიურ ენაზე (ირანულად ნაწილია თარგმნილი მორთეზა ფათემის მიერ).

მრავალეროვან ინდოეთს დღემდე საშუალება არ ჰქონდა გაცნობოდა „ვეფხისტყაოსანს“. წლეულს ინდოეთში ასამურ ენაზე გამოვა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანი...

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით 1969 წლის ოქტომბერში საქართველოში სტუმრობდა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების გენერალური მდივანი ასამის შტატში ბჰაბენ დატა ბარუა.

დოქტორი ბარუა გაეცნო საქართველოს მიღწევებს, დაათვალიერა თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ეწვია კახეთს და ისტორიულ ძეგლებს მცხეთაში. ასამის მთაბარიანი ბუნება მან საქართველოს ბუნებას მიამსგავსა და დიდად დაინტერესდა საქართველოს ისტორიითა და ლიტერატურით, ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობით წარსულში.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე ყენტატა დატა ბარუასთან საუბრისას ჩვენი ქვეყნების უძველეს ურთიერთობათა გარდაუვალობის დასამტკიცებლად დაუსახელა „ვეფხისტყაოსანიც“, მოუთხრო იქ აღწერილი ინდოთა მეფის ძის ტარიელის ამბავი. დოქტორი დატა ბარუა დაუყოვნებლივ შეუდგა მისთვის ნაჩუქარი პოემის მარჯორი უორდროპისეული თარგმანის კითხვას.

ბჰაბენ დატა ბარუამ საქართველოდან გამგზავრებისას შენიშნა, რომ როგორც გამომცემელი ამ წიგნს აუცილებლად ათარგმნინებდა თავის მეგობარს, ასამში ცნობილ პოეტს.

დოქტორ ბარუამ დანაპირები შეასრულა და „ვეფხისტყაოსანი“ სათარგმნელად გადასცა ასამელ პოეტს შრი გოლოკ ჩანდრა დატას. ამ ხნიდან დაიწყო ალექსანდრე ყენტატა და მთარგმნელს შორის წერილების მიმოწერა, რჩევა და რუსთველოლოგიური ლიტერატურის გზავნა ინდოეთში.

შრი გოლოკ ჩანდრა დატას ასამურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი უკვე მზადა აქვს, დარჩა მხოლოდ დასტამბვა. უკანასკნელ წერილში იგი ალექსანდრე ყენტატს სწერს: „ჩემთვის დიდი დახმარება იქნება, თუ გამიწევთ სიკეთეს და გამომიგზავნით „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებსა და თვით შოთა რუსთაველის ფოტოს. როგორც კი მივიღებ, მაშინვე დავამზადებ კლიშეებს, შესაფასებლად მჭირდება აგრეთვე მასალა ქართულ ენასა და ლიტერატურაზე, საქართველოს წარსულსა და თანამედროვეობაზე“...

ალექსანდრე ყენტატმა წერილის მიღებისთანავე შეუსრულა თხოვნა. იმედია, რომ მრავალეროვანი ინდოეთი რუსთაველის ქმნილებას მალე მიიღებს ასამურ ენაზე.

ნოდარ კოჭლაშვილი




# ცეკვის ღვაწლმოსილი მატიანე

შეიძლება მთელი სიცოცხლე იმოგზაუროთ და ბოლოს, ემოციებისაგან უკვე მეტისმეტად გადაღლილმა, ვეღარაფერით გაიხსენოთ ის, რაც ოდესღაც ესოდენ ძვირად ფასობდა შენს შეგრძნებათა სამყაროში... ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ქართული ცეკვის სახელგანთქმულმა ანსამბლმა თავისი არსებობის მეოთხედი საუკუნის მანძილზე უჭკნობი ხელოვნებით დაიპყრო მთელი მსოფლიო. დედამიწის ცივილიზებულმა სამყარომ მუხლი მოიყარა ცერებზე შემდგარი ქართული მგზნებარე სულის წინაშე და ალალად დაუღოცა ის ლაჟვარდოვანი გზა, დღეს მსოფლიო ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმტაც მატიანედ რომ იქცა.

მაყურებელს ყოველთვის აღაგზნებს ჯადოსნური „ქართული“ და ცეცხლოვანი „მთიულური“. მკითხველს კი ხელახლა გაიტაცებს ის ლამაზად დასტამბული წიგნი, რომელსაც „ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე“ ჰქვია, რომლის ავტორიც საქართველოში საოცრად პოპულარული საესტრადო მსახიობი, მწერალი და ჟურნალისტი ქართლოს კასრაძეა, და რაც სახელმოხვეჭილი ქორეოგრაფებისა და თვით ავტორის ღაღ ლიტერატურულ პირუეტსაც წარმოადგენს.

წიგნი გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოსცა 30.000-იანი ტირაჟით, მყისვე დაიტაცეს. და არა მარტო იმიტომ, რომ მასში მოთხრობილია ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთელი შემოქმედებითი ისტორია — თუ როგორ დაიბადა ეს ანსამბლი, როგორ იზრდებოდნენ მისი ოსტატები, როგორი აჟიოტაჟი შეჰქონდა მას თავისი გასტროლებით მსოფლიოს ათეულობით ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, როგორ იქცა იგი მსოფლიო სახელის მჭონე, თითქმის ლეგენდარულ საბალეტო დასად. რასაკვირველია, ეს მომენტები ავსებენ 500-გვერდიან გამოცემას, მაგრამ თუ არა ბრწყინვალე ალღო ჟურნალისტისა და ხელოვანისა, ქართლოს კასრაძის ნიჭი, ენერგია და გულწრფელი სიყვარული რომ არა ამ ანსამბლისადმი, საერთოდ ხელოვნებისადმი, შესაძლოა მსგავსი წიგნი ხელიანად არც დაწერილიყო. არსებობს წიგნები, რომლებიც ერთ კვირაში, ერთ თვეში ან ერთ წელიწადში იწერება. არის წიგნები, მთელი თავიანთი სიცოცხლე რომ ჰქმნიდნენ ავტორები. მაგრამ რამდენი წელიც არ უნდა დაეხარჯათ იმ ავტორებს, ვერავითარი ძალა ვერ გაამართლებდა მათ შრომას, თუ არ იქნებოდა ის გული, რომლის ჯარნახითაც და შთაგონებითაც უნდა დაწერილიყო ესა თუ ის ნაშრომი. ქართლოს კასრაძის „ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე“ ქართველი პატრიოტის წრფელი გულით დაწერილი ერთგვარი რომანია ცეკვაზე, რითაც მარტო მოცეკვავენი როდი ამაყობენ.

ვასილ მჟედლიშვილი

# გაყიდულთა ხვედრი

(დასასრული)

მაგრამ რაღა დასაყოვნებელია! დღეს ბორის ხანანაშვილი უდიდეს სულიერ ტკივილს განიცდის—საბჭოთა სინამდვილეში აღზრდილი ახალგაზრდობისათვის უცხოა შემგუებლობა. ამიტომაც, ბუნებრივია, მან მოგვცა განგაშის ნიშანი, თქვა ის, რაც უნდა ეთქვა. იქნებ ვინმე ეჭვიანმა კაცმა წამოიძახოს. წავიდა ბევრი, ამგვარ წერილებს კი ცოტა იწერებაო. ჯერ ერთი, ამგვარ წერილებს უკვე ბევრი იწერება. მეორე, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც რელიგიური ფანატიზმი ხელს უშლით დაინახონ კაპიტალისტური სამყაროს სინამდვილე, გაარჩიონ ავი და კარი (როცა შავ დღეში ცვივიან, ამბობენ, უფალმა ინებაო), ზოგსაც თავმოყვარეობა არ ანებებს უარყოს გადადგმული ნაბიჯი. ადამიანები კი, მოგეხსენებათ, ძალიან არიან ერთმანეთზე დამოკიდებული — შვილი — მამაზე, ცოლი — ქმარზე, და — ძმაზე, ჯაჭვივით მისდევს ერთმანეთს შეცდომები. ამ შეცდომის საბოლოო შედეგის მაგალითად მიმაჩნია „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე მოთხრობილი ამბავი, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ისრაელში ჩასული იმედგაცრუებული ზოგიერთი ადამიანი თვითმკვლელობასაც მიმართავს. ამას წინათ „ლიტერატურნაია გაზეტას“ კორესპონდენტები ვენაში შეხვდნენ ებრაელებს, რომლებმაც ვერ აიტანეს „აღთქმული ქვეყნის“ კანონები და მოახერხეს ავსტრიის დედაქალაქში გამოქცევა — (ვენაში, ისე როგორც ევროპის სხვა სახელმწიფოების დედაქალაქებში, საბჭოთა საელჩოს კარები ატალახებულია სიონისტური პროპაგანდით მოტყუებული საბჭოთა ებრაელების მიერ, რომლებიც მოითხოვენ სამშობლოში დაბრუნებას). იმ ადამიანებმა კორესპონდენტებს უამბეს, რომ ერთ-ერთმა ემიგრანტმა, მანია სპეკტორმა, რომელიც საბჭოეთიდან ისრაელში ესხდეს ძიისწრაფოდა და ოჯახის მიერ გადადგმული ამ საბედისწერო ნაბიჯის ინიციატორი იყო, დარწმუნდა რა კაპიტალისტური სამყაროს ამაოებაში, შვიცნო რა „აღთქმული მიწის“ ნამდვილი არსი, თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე.

ამ ფაქტმა ჩვენთვის ნათელი გახადა ისიც, თუ როგორი მეთოდებით მუშაობს სიონისტური პროპაგანდა, რა ხერხებს მიმართავს საბჭოთა მოქალაქეების მოსატყუებლად.

„ლიტერატურნაია გაზეტაში“ ზემოხსენებული სტატიის გამოქვეყნებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ისრაელის გაზეთ „მაარივში“ დაიბეჭდა ამავე გაზეთის კორესპონდენტის ტიროშის წერილი სენსაციური ცნობით, რომ მანია სპეკტორი-კაპლანისა ცოცხალია, საბჭოთა გაზეთმა მკითხველები მოატყუაო.

სად ვეძიოთ სიმართლე? სიმართლეს ოფიციალური დოკუმენტი თუ იტყვის და აი, ეს დოკუმენტიც, რომელიც მანია სპეკტორის ქალიშვილს იულიას გამოეგზავნეს ისრაელიდან.

„ღრმად პატივცემულო ქალბატონო!

ვადასტურებთ იმას, რომ თქვენგან მივიღეთ 24/IX-71 დათარიღებული წერილი. ჩვენ შევაძოწმეთ დოკუმენტები დედათქვენის მანია სპეკტორის სიკვდილის თაობაზე და გიპასუხებთ თქვენს კითხვებზე დოკუმენტების მიხედვით:

1) დედათქვენი მანია სპეკტორი, ღმერთმა აკურთხოს მისი სხოვნა, გარდაიცვალა 8/VII 1971 წელს.

2) დაკრძალვის ადგილი: ხულონის სასაფლაო: დეპარტამენტი 3, ოლქი 7, რიგი 19, საფლავი № 16.

3) დოკუმენტებში არ არის მითითებული სიკვდილის მიზეზი, არ არის მითითებული აგრეთვე სამედიცინო დიაგნოზი.

მისი მისამართი იყო: ბნეი ბრიკ, მაკმეის ქუჩა, 24.

პატივისცემით დამკრძალავი საზოგადოება. მდივანი ა. რისი“.

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია! ამ უბრალო ყოფით ფაქტში ჩანს სიონისტური პროპაგანდის მთელი სიყალბე. თურმე, თუ დასჭირდათ, მკვდარსაც კი ცოცხლად გაასაღებენ.

ბორის ხანანაშვილისა და სპეკტორის ბედი გამონაკლისი როდია. ხანანაშვილის წერილი ახალგაზრდა კაცის, ჯერ კიდევ ემოციებდაუმცხრალი კაცის სულის ძახილია. ჩვენთვის, მაგალითად, უფრო შემაძრწუნებელია და ამავე დროს „აღთქმული ქვეყნის“ ნამდვილი სურათის სააშკარაოზე გამომტანია ის წერილები, რომლებსაც ოჯახის დიასახლისები თუ მოთავეები სწერენ საბჭოეთში დარჩენილ ახლობელ-ნათესავებს.

„სალამი მანიას და შალვას.

მანია, როგორა ხართ, როგორ გიკითხოთ, მე ისე ვარ, როგორც პატიმარი და არ ვიცი, რა ვქნა, ვინაიდან ერთი ვიზა არ მომცეს მანდიდან, რომ წამოვიდე ამ ქვეყნიდან. აქ მანია ყველაფერი ფულია, რაც მანდ იწერება გაზეთებში, ყველაფერი სწორია და ხომ შემპირდი, რომ თუ მოგწერამდი, გამომიზავნიდი და იცოდით, რომ საქართველოს არაფერი სჯობია მთელ მსოფლიოზე, მანია, უთხარი მთელ ხალხს, რომ აქ ძალიან ცუდია, თუ ვინმემ დაგიჯეროს კარგია, თუ არა და ცუდია, იყავით ბედნიერები“.

ამ წერილს ისრაელიდან სოხუმში ოქტომბრის ქუჩაზე № 49-ში მცხოვრებ მანია ჯინჯიხაშვილს უგზავნის ალბერტ ჯინჯიხაშვილი, ხოლო იგივე ალბერტ ჯინჯიხაშვილი მშობლებს სწერს:

„პაპა! ვიცი, მენდურებით, რომ ამოგგლიჯეთ გული და აქ წამოვიღე და არ გამართლდა და მეც ისეთ დღეში ვარ, რომ შემხედო ის ალბერტი აღარ ვარ, რაც ვიყავი, როგორც სანთელი ისე ჩამოვხმი და არ ვიცი, ვიზას მოვუცადო თუ უვიზოდ წამოვიდე მანდ, რა ვქნა არ ვიცი. აქ ყველაფერი არ ვარგა, რა დავწერო, მეც არ ვიცი.

ვისაც მანდ ვიზა მოსდის, ყველა ფულზეა გაყიდული, როგორც წინათ რომ იტაცებდნენ ბავშვებს და ყიდდნენ, ისე ვართ ყველა, იმ სამი კუთაშელი ხახმიდან გაყიდული, ვინც ჩამოდის ისინი ვინც ვიზა გამოუგზავნა 720 მან. იღებენ და რა ვქნათ წამოვეგეთ ანკესზე“.

ადამიანებმა, რომლებიც ფეხის ხმას აჰყვნენ, მალე იგრძნეს სამშობლოს მიტოვების დრამა, იგრძნეს, რომ „საქართველოს არაფერი არ სჯობია მთელ მსოფლიოზე“, იგრძნეს ტკივილი, მარტოობა. ყოველივე ამისათვის კარგად აუღია ალღო ჭაბუკ ბორის ხანანაშვილს, რომელიც წერს: „ვიცოდი, რომ ადამიანი, რომელიც თავის ძველ მამა-პაპურ ადგილს მიატოვებს და სხვაგან წავა, როგორი კარგი პირობებიც არ უნდა იყოს იქ (ხოლო როგორი პირობები ყოფილა ისრაელში, ამაზე ცოტა ქვემოთ — მ. დ.), მისთვის ყველაფერი მაინც ფუჭია“.

ადამიანები, რომლებიც გუშინ ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებული მასალები „აღთქმულ მიწაზე“ მხოლოდ პროპაგანდისათვის იყო გამიზნული, დღეს თავის ახლობლებს აფრთხილებენ: „მანია, გენაცვალე, რაც მანდ იწერება გაზეთებში, ყველაფერი სწორია“. სიონიზმის ლიდერები, ალბათ, ვერ წარმოიდგენენ, რომ საქართველოდან ჩასული ებრაელი გამოუტანდა ამგვარ განაჩენს სიონიზმს და სიონიზმის გულიდან აღიარებდა: „რაც მანდ იწერება, ყველაფერი სწორია“. სიტკბო რომ იგემო კარგად, სიმწარე უნდა გასინჯო, — ამბობს ხალხი. ცხოვრების პირობები ამ გასამხედროებულ ქვეყანაში ხომ გაცილებით მძიმეა, ვიდრე სხვა რომელიმე კაპიტალისტურ სახელმწიფოში. ისრაელში, განუცხადეს კორესპონდენტებს ვენაში დაბრუნებულმა ებრაელებმა, — ყველა ერთმანეთისათვის უცხოა. აქ არ არის ერთიანი ხალხი, არ არის ერი, ადგილობრივი ებრაელები და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულები აშკარად მტრობენ, სძულთ ერთმანეთი. იფურჩქნება და მკვიდრდება რასობრივი დისკრიმინაცია იმის მიხედვით, თუ რომელი ქვეყნიდან არის ემიგრანტი.

ჩემთვის სრულიად გასაგებია, რომ საქართველოდან წასული ებრაელები მწარედ მოთქვამენ თავიანთ ბედს, ტკივილით განიცდიან საქართველოსთან განშორებას, ეს უკვე ისეთი გრძნობაა, რომელიც ცალკე დგას როგორც რელიგიისაგან, ისე პიროვნული განვითარებისაგან. საქართველოში გაზრდილი ებრაელიც ქართველი კაცის ხასიათის ნიშნებს ატარებს, ამიტომ მე მჯერა, რომ ამგვარი წერილები კიდევ ბევრი მოვა, სამწუხაროდ, კიდევ ბევრი ცრემლი დაიღვრება თბილისზე თუ ქუთაისზე, სოხუმზე თუ ბანძაზე, კულაშსა თუ სურამზე ოცნებაში.

ისრაელში, ქალაქ ლოდში, დავიდ ამელეხის ქუჩა № 155-ში მცხოვრები რ. ა. ფიჩხაძე თბილისში, წრიულ შესახვევში, № 5-ში მცხოვრებ მაღალაშვილებს წერს:

„ნეტავი თქვენ, რომ მანდა ხართ, ლია, რაც ჩვენ ტანჯვა ვნახეთ, რა ვიცი. ჯერ ბინა არ მიგვიღია, ვართ სხვების შესაგდებგასაგდებად. დღე ერთია და ტირილი რამდენი პირი, გოგო, რა წერილები მოდიოდა ხომ იცი, ერთი სიტყვა არ არის დაო მართალი, დამიჯერე. ყველაფერი ტყუილია. რამდენი წერილი გამოვგზავნე და ერთის პასუხიც არ არის, ლიაჯან რასაც ჩემგან ელოდებით დაო მე იმას არ გიგზავნით, მე ვერ დავიდგე თქვენს ცოდოს. სახლიცა გაქვს და კარიც. ბინის ქირა 100-120 მან. თვეში, წყალი 80 ლირა, ე. ი. 80 მან. შუქი კილოვატი 50 კაპ. ისრაელის მტერი რომ ავად გახდეს და სასწრაფოდ ექიმს გამოიძახებს მანამ წინასწარ 20-25 მან. არ წაართმევს, არ გასინჯავს ავადმყოფს, რაც უნდა უჭირდეს, საავადმყოფოში დაწვება და 40-45 მან. უნდა იხადოს ყოველ დღეს.

ლია მანდ რომ გვიკვირდა 900 მან. პასპორტიაო, აქ რომ ვენიდან წამოვედით, დამწვარიყო ის დღე, 1340 მან. დაგვაწერეს ვალი გადმოსაფრენი და რაც გვაჭამეს ის სხვაა“.

ან კიდევ:

„ახლა გოგო ვწერ და მეშინია რომ არ გასინჯო, გაგეგე მთელი კულაშელები დარიგებული არიან ზოგი ფოსტაში, ზოგი ბაგაში მუშაობს, ზოგი ვიზებზე, საიდანაც იგზავნება ასე დანაწილებული არიან, ყველასთან შეკრულები ოღონდ ისეთი წერილები გზავნონ კარგი დასწერონ, რომ ხალხი ააღიზიანონ წამოსვლაზე. 1 000 ლირას იღებენ ხელფასის გარდა და ასე ჰყიდიან ხალხის დამშვიდებულ ოჯახს ფულზე ოღონდ ვინმე წამოვიდეს და კიდევ მეტსაც.

რუთო დამიჯერეთ ვინც ჩამოსულია ყველა გამოქცევაზეა, ვისი წერილებიც მანდ მოდის კარგისა ასე-ასეო კარგიაო ერთი ჩამადანი აიღეთ და წამოდითო, ყველა იფიცება არ მიმიწერიაო. საწყალ ნინუცას წერილი აბა რა ხმა იყო როგორი კარგი წერილი მოვიდაო აქ კი გაგიელებას არის რა ვქნა რა წყალში ჩავვარდე, ვდარდობთ იმას ვდარდობთ რომ არავინ არ გადაწყვიტოთ წამოსვლა“.

ეს წერილები ძალიან ჩამოჰგვანან ერთმანეთს და ამ მსგავსებაში არის რაღაც ლოგიკური — ყოველი ემიგრანტი მიდიოდა ოცნებით და ყველას დახვდა ერთი და იგივე სურათი — უბედურობა, აბუჩად აგდება. ამონაწერების სიჭარბეს რომ არ გავურბოდეთ, მოვიყვანდით ამგვარი დამოკიდებულების მაგალითებსაც. არ შეიძლება ადამიანური ცხოვრების დრამა არ დაინახო ორ მინაწერში. აი ერთი მათგანი: „ჩვენი იმერშალიმი თბილისი იყო“, — მიუწერია ავტორს ფურცლის არშიაზე. სულ ოთხი სიტყვაა, მაგრამ ამ ოთხ სიტყვაში იგრძნობა ის საშინელი ტკივილი, იმედის გაცრუება და ტრაგიზმი, რაც დამახასიათებელია ისრაელში წასული ებრაელებისათვის. არანაკლებ შემაძრწუნებელია მეორე მინაწერი, ეს უკვე კონვერტზე მიუწერია ალბერტ ჯინჯიხაშვილს. კარგად დაუკვირდით ამ ოთხ სიტყვასაც: „მანია გაყიდული ვარ 720 მან.“ საშინელებაა! ირკვევა, რომ ადამიანები, რომლებიც ისრაელიდან აქ მოწვევას გზავნიან, შემდეგ იქ 720 ლირას იღებენ და ამ განწირულმა კაცმა, ლამის სიკვდილმისჯილმა წამოიძახა: „მანია გაყიდული ვარ 720 მან.“

აქ კი სძლია სიბრალულმა სიბრაზეს, რადგან ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, ჰუმანიზმი ლიტონი სიტყვა კი არ არის, არამედ ყოველდღიური ცხოვრების მეკვლეა.

ბევრი წერილი მოდის, ნაკადი არ წყდება. იგრძნობა ტკივილი, სიმწარე, გულგატეხილობა, იმედგაცრუება. ბევრი კი არაფერს იწერება, რადგან ჯოჯოხეთი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ღვთის სასჯელად“ მიაჩნია და ბედს ურიგდება.

არის ისრაელის ქებაც: „ეს რა ვნახეთ, აბაზანაიანი ოთახი მოგვცეს, აივანიც გვაქვსო“. მაგრამ ვის სწერენ, ვინ იწერება? ადამიანები, რომლებიც მოტყუებული დარჩნენ და სურთ მწარედ გადაუხადონ იმათ, ვინც იქ წასვლაზე წააქეზა, სწადიათ, სხვებიც გვერდით იყოლიონ — ბარემ ერთად ვიყოთო ამ სატანჯველში, თავიანთ და-ძმებს კი სწერენ, არ წამოხვიდეთო.


საბჭოეთი დიდი ქვეყანაა. სსრ კავშირი გასძლებს უიმისოდ, ვისაც აქ ცხოვრება არ უნდა, ის ადამიანები კი როგორც ჩანს, ვერ სძლებენ, რადგან მიხვდნენ, ხვდებიან და კვლავაც მიხვდებიან, რომ საბჭოთა საქართველო არ არის მხოლოდ გეოგრაფიული ცნება, არამედ არის თავისუფალი, ადამიანური ურთიერთობანი, მშობლიური მიწა, საყვარელი საქმე, ნათესავები, ახლობლების საფლავები, მეგობრები და ამხანაგები, ხალხი, ვისთან ერთად შენს წინაპრებს ათეული საუკუნეები პატიოსნად უცხოვრია, მძიმე ჭაპანი გაუწევია.


ცოტა როდია სულმოკლე ადამიანი, ცოტა როდი აჰყოლია ცდუნებას. ამიტომ მათს გასაგონად ერთხელ კიდევ ვამბობ იმას, რასაც სინდისი მკარნახობს, რაც ათასჯერ ამიწონ-გამიზომია, მწამს და მჯერა — ნუ გავ-ხდით საქმეს ისე, რომ თუ არ მოვიწერებით, ფიქრადაც არ გავიოლოთ: „გაყიდული ვარ 720 მან“.

მიხეილ დავითაშვილი

# სპორტი

## მოგრძანდა დიდი ფეხბურთი






დიდი დანაკლისი განიცადა, საავტომობილო კატასტროფამ იმსხვერპლა ახალგაზრდა, ნიჭიერი მეკარე თეიმურაზ სტეფანია და მაყურებელმა პატივი სცა მის ხსოვნას წუთიერი დუმილით.

...როცა თბილისელთა ახალბედა მეკარემ დავით გოგიამ ორი უძნელესი ბურთი აიღო ჩენსკოვისა და სპირიდონოვისაგან და დამაჯერებლად ითამაშა მაღალ ბურთებზე, მაყურებელთა ტაშმა იმატა. იმედია, რომ გოგია ღირსეულად გააგრძელებს თბილისის „დინამოს“ განთქმულ მეკარეთა მდიდარ ტრადიციებს.

ორივე გუნდს ძალზე ეწადა სტარტზე ორი ჭულის მოპოვება, მაგრამ სეზონის პირველ მატჩში გოლი ვერ ვიხილეთ. საამისო მომენტები კი ორივე გუნდს ჰქონდა, განსაკუთრებით თბილისისას. საგოლე ვითარება შეექმათ გივი და ლევან ნოდიებს, გუცაევს, ყიფიანს, კუტივაძეს, მაგრამ მატჩის დრო ისე ამოიწურა, გოლის გატანა ვერ მოხერხდა — 0:0.

10 აპრილს „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა წლევანდელი ჩემპიონატის მეორე მატჩი. პირისპირ დადგნენ ძველი მეტოქეები — თბილისა და მოსკოვის „დინამოები“. ორთაბრძოლა ტემპიანი და შეუპოვარი გამოდგა. ორივე გუნდში ყველა ხაზი აქტიურად იბრძოდა. იერიშებში მცველებიც მონაწილეობდნენ. წინა ხაზზე სტუმრები იმედებს ამყარებდნენ სისწრაფეზე — ევრიუუიხინზე, გერშკოვიჩზე, და მაინც თბილისელები პირველ ტაიმში უკეთ თამაშობდნენ. განსაკუთრებით კარგად ითამაშა ნახევარდაცვამ. გადამწყვეტი გოლიც ნახევარდაცვის დამსახურებაა. მე-9 წუთზე გავაშელმა ანდივიდუალური გარღვევა შეასრულა მარჯვენა ფლანგზე და სწრაფად შეავდა ცენტრისაკენ, სადაც მის გადაცემას მჭედლიშვილი უცდიდა. გავაშელმა თვითვე სცადა თავისი რეიდის დასრულება და ზუსტად დაარტყა კარში. მოსკოველთა მეკარის პილგუის ნახტომმა დაიგვიანა — 1:0; და ამით დამთავრდა საინტერესო მატჩი. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა პირველ ორ თამაშში 3 ქულა მოიპოვეს.

სურათებზე: თბილისის „დინამოს“ კაპიტანი მურთაზ ხურცილავა (მარჯვნივ) და მოსკოვის „ლოკომოტივის“ კაპიტანი შელუდკო აღმართავენ XXXIV საკავშირო ფეხბურთის ჩემპიონატის ალამს.

გივი ნოდია (მარცხნივ) ბურთისათვის ბრძოლაში.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტოები.

ფეხბურთის ახალი სეზონის გახსნა და ჩემპიონატის ალმის აღმართვა სპორტულ ზეიმად გადაიქცევა ხოლმე და ესე იყო 4 აპრილს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე. მოედანზე იყვნენ უმაღლესი ლიგის გუნდები — ბრინჯაოს პრიზიორი თბილისის „დინამო“ და უძლიერესთა რიგებში დაბრუნებული მოსკოვის „ლოკომოტივი“.

მეტოქეებს მიესალმა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ქართული ფეხბურთის ვეტერანი ბორის პაიჭაძე. კაპიტნებმა ალამი აღმართეს, XXXIV ჩემპიონატი გახსნილად გამოცხადდა.

ამ სპორტულ ზეიმს ერთი ტკივილი ახლდა. სწორედ სეზონის გახსნის წინა დღეებში „დინამომ“



# ჩვენი ძველი მწერლობის ხელნაწერიანი მკვლევარი

ნახევარი საუკუნეა, რაც აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე ეწევა ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. მას ამშვენებს კარგი ფილოლოგიური განათლება და ხანგრძლივი სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება. ალექსანდრე ბარამიძე გამგრძელებელია იმ მეცნიერული ტრადიციებისა, რომლებიც ლიტერატურათმცოდნეობაში დაამკვიდრა კორნელი კეკელიძემ. დღეს იგი ქართული ფილოლოგიური სკოლის ერთ-ერთი მეთაურთაგანია.

ალექსანდრე ბარამიძე ახალგაზრდობიდანვე შეუდგა კლასიკური და აღორძინების ხანის მწერალთა ცხოვრებისა და სალიტერატურო მემკვიდრეობის, ამავე დროს მათი ნაწერების დასაბეჭდად მომზადებასა და გამოცემას. მან დაამუშავა საქართველოსა და მოსკოვ-ლენინგრადის სიძველეთსაცავებში დაცული ქართული ხელნაწერები და არქივები, ამოკრიბა იქიდან ბიოგრაფიული, ბიბლიოგრაფიული და ტექსტოლოგიური მასალები, გამოავლინა უცნობი დოკუმენტები ქართველ მწერალთა ცხოვრებიდან და მათი მეცნიერულ-კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მკითხველებს მიაწოდა მონოგრაფიული გამოკვლევები თეიმურაზ პირველის, არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ის, დავით გურამიშვილის, მამუკა ბარათაშვილის, ბესიკის, საიათნოვასა და სხვათა შესახებ. ამავე დროს გამოაქვეყნა ხსენებულ მწერალთა თხზულებანი (ზოგი დამოუკიდებლად, ზოგიც სხვა მეცნიერებთან მონაწილეობით). ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ მკვლევარმა შეიმუშავა ქართული საერო ფეოდალური მწერლობის ისტორიის



კურსი, რომელიც გვერდს უმშვენებს კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ორტომეულს.

ალექსანდრე ბარამიძემ დიდი ამაგი დასდო ავრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის მომზადებისა და საერთოდ რუსთველოლოგიური პრობლემების დამუშავების საქმეს. იგი მონაწილეობდა პოემის 1937 წლის საიუბილეო ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში. კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძისა და მისი მონაწილეობით განხორციელდა თხზულების 1951 და 1957 წლების გამოცემები. მისივე მონაწილეობით მომზადდა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი, რომელიც ვარიანტებითურთ გამოქვეყნდა 1966 წელს ალექსანდრე ბარამიძისა და აკაკი შანიძის რედაქციით.

ალექსანდრე ბარამიძე იკვლევდა „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობას, სოციალურ გარემოს, მხატვრულ მხარეს, რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებს და დროდადრო ამ კვლევის შედეგებს აქვეყნებდა. მან შექმნა რუსთველოლოგიის კურსი, რომელიც სათანადო მეცნიერული აკრიბიით წარმოდგენილია მის მონოგრაფიულ შრომაში „შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ (1966 წელი).

ალექსანდრე ბარამიძე მუდამ ახლის ძიებაშია. მისი „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, რომელიც ხუთ ტომად არის გამოქვეყნებული, ქართული კულტურის ყველა მკვლევარისათვის ნიადაგ სახმარია.

ალექსანდრე ბარამიძეს შეუსრულდა დაბადებიდან 70 წლისთავი. იგი დღესაც ენერგიულად მოღვაწეობს ქართული მეცნიერების სარბიელზე და ეწევა ფართო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ვუსურვოთ მას ხანგრძლივი ბედნიერი სიცოცხლე.

**ივანე ლოლაშვილი,**
პროფესორი.

# მეგობრები ულოცავენ

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო! ყველა, ვინც კი ქართული ლიტერატურის ისტორიას სწავლობს, დიდად არის დავალებული თქვენგან და იმ ინსტიტუტის მუშაობით, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ. ჩემ თავს ნებას მივცემ, გულითადად მოგილოცოთ ეს საზეიმო დღე და გისურვოთ ხანგრძლივი ჯანმრთელობა და ახალი შემოქმედებითი ძალები თქვენს მოღვაწეობაში. მიგეღწიოთ კავკასიური ხნოვანებისათვის და გადაგეცადოთ 100 წლის იუბილე.

თქვენი დაბადების დღეს მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები და გულითადი სალამი.

დავრჩები მარად თქვენი ერთგული

**იულიუს ასფალგი,**
მიუნხენი.

**თქვენმა** განუწყვეტელმა დაუღალავმა შრომამ და თქვენმა დიდმა სიყვარულმა ჩვენი მშობლიური ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია გააცოცხლა და მას კარი გაუღო მსოფლიოს ლიტერატურის ისტორიაში..

გვწამს ეს იქნება დიდი ზეიმი!

**ჰამბურგის უნივერსიტეტის ენათა მეცნიერების ფაკულტეტის ქართული ენის ლექტორი ნიკოლოზ ჯანელიძე, ქართული გამომცემლობა „საქართველოს“ თანამშრომლები ლილი პაპეგელაშვილი, ულრიხ პაპე,**

ჰამბურგი.

დიდ მეცნიერს ალექსანდრე ბარამიძეს დაბადების დღეს დიდი მოწიწებით ვულოცავ.

**ჰანს ფოქტი,**
ოსლო.

ჩემი დიდი თაყვანისცემა აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს, ქართველოლოგიის უდიდეს ავტორიტეტს.

**ლაიოშ ტარდი,**
ბუდაპეშტი.

თქვენ უკვე მოხვეჭილი გაქვთ მსოფლიო სახელი და აღიარება. ყველა ქვეყანაში, სადაც კი იცნობენ და აფასებენ ქართულ ლიტერატურას, თქვენი სახელი უპირველესთა რიგებშია. ყოველივე ამის გამო მიიღეთ ჩემგან უმსურვალესი მოლოცვა.

**მარად თქვენი ერთგული დევიდ ლანგი,**
ლონდონი.

**ღრმად პატივცემულო და ძვირფასო ბატონო ალექსანდრე!**

**«Revue de Kartvélologie»-ს და ჩვენი პირადი სახელით მოგილოცავთ თქვენი დაბადების სამოცდაათი წლის შესრულებას. ნახევარი საუკუნის განმავლობაში გაწეული თქვენი მოღვაწეობა ამშვენებს ჩვენი სამშობლოს კულტურას.**

**თავდადებული შრომით თქვენ მოიხვეჭეთ დიდი მეცნიერის სახელი საზღვარგარეთაც. უამრავი გამოკვლევებით თქვენ ხელი შეუწყვეთ უცხოეთში ქართველოლოგიის განვითარებას.**

**მთელი ჩვენი არსებით გისურვებთ კიდევ დიდხანს გაგეგრძელებიოთ თქვენი მუშაობა ჩვენი ერისა და მეცნიერების სასარგებლოდ.**

**მოგეხვევით სიყვარულით.**

**ნინო და კალისტრატე სალიები,**
პარიზი.

# სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდს თანაგრძნობა გამოუცხადა სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქის ეფრემ II გარდაცვალების გამო.**



## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდი, უმდაბლესად გთხოვთ მიიღოთ ჩვენი უგულითადესი და უღრმესი მადლობა, საქართველოს ეკლესიის მწყემსთმთავრის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ეფრემ II გარდაცვალების გამო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თანაგრძნობისათვის.

საქართველოს წმინდა ეკლესია, მოწინავე ერების ეკლესიებთან ერთად, იბრძოდა და კვლავაც იბრძვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა, თავისუფლებისა, ერთა თანასწორობისა და სოლიდარობის იმ საკაცობრიო საქმეში, რომლის მზე დიდ საბჭოეთში ამობრწყინდა.

დღეს, საქართველოს დამწუხრებული ეკლესია კათედრიდან შესთხოვს ღმერთს ღვთივდაცული ჩვენი ერისა და მთავრობის მრავალჟამიერ ცხოვრებას და ევედრება, რათა იყოს „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

**ღრმა პატივისცემით და მოკრძალებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდი.**

ამა წლის 7 აპრილს, 6 საათსა და 30 წუთზე, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II.

კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II — გრიგოლ შიოს ძე სიდამონიძე — დაიბადა 1896 წელს მედავითნის ოჯახში. 1912 წელს დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი. სასწავლებლის დირექციამ იგი სპეციალური რეკომენდაციით გამოგზავნა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1919 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1923 წელს დაამთავრა. მე-4 კურსზე ყოფნისას აღიკვეცა ბერად. მოღვაწეობდა სამხედრო საკრებულო ტაძარში. შემდეგ აყვანილ იქნა იღუმენად და ჭართლ-კახეთის მონასტრებს კეთილმოწესედ. წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით იგი აჰყავთ არქიმანდრიტად და ინიშნება ბორჩალოს მაზრის მთავარ ხუცესად. მალე დაინიშნა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად. უმსახურია საქართველოს თითქმის ყველა ეპარქიაში. მისი უკანასკნელი ეპარქია იყო ბათუმ-შუახევისა და ჭყონდიდისა. აქედან სრულიად საქართველოს მე-10 საეკლესიო კრებამ მოუწოდა სრულიად საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქად.

კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორის ხელმძღვანელობით საქართველოს ეკლესიას ურთიერთობა ჰქონდა ყველა დამოუკიდებელ როგორც მართლმადიდებელ, ისე სხვა ქრისტიანულ ეკლესიასთან, მაჰმადიანურ და არაბთა ქვეყნებთან. კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II იყო მსოფლიოს საეკლესიო საბჭოს წევრი, მშვიდობისათვის აქტიური მებრძოლი. იგი მონაწილეობდა რამდენიმე მსოფლიო ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენციის მუშაობაში, რომლებზეც არაერთხელ გამოსულა სიტყვით. იყო აზია-აფრიკის ერთა სოლიდარობის საბჭოთა კავშირის კომიტეტის, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის, საბჭოთა კავშირის მშვიდობის კომიტეტის, საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმის, ხიძველეთა დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმისა და სხვა საზოგადოებათა წევრი. მიღებული ჰქონდა საქართველოს უმაღლესი საბჭოსა და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის საპატიო სიგელები. დაჯილდოებული იყო მეორე პანაღიით, მატრაზე ჯვრითა და უმაღლესი საეკლესიო ჯილდოთი — სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრით, რუსეთის ეკლესიის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, ბულგარეთის, არაბთა ქვეყნების, ჩეხოსლოვაკიის საერო და საეკლესიო ორდენებით. მოსკოვსა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსისაგან, კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს თანხმობით, მიღებული ჰქონდა ბრილიანტის ჯვარი. მრავალმხრივი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეობისათვის, დიდი სამამულო ერუდიციისათვის ლენინგრადის სასულიერო აკადემიის საბჭომ მიერ მინიჭებული ჰქონდა ღვთისმეტყველების დოქტორის სამეცნიერო წოდება.

* * *

ხუთშაბათს, 13 აპრილს, დილის 10 საათზე, სიონის საპატრიარქო ტაძარში დაიწყო წირვა. წირავდა მიტროპოლიტი დავით ურბნელი. თანამწირველნი იყვნენ უკრაინის ეკზარხი ფილარეტი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, მთავარეპისკოპოსი ყუბანისა და კრასნოდარისა ალექსი, ვოლოკოლამის მთავარეპისკოპოსი პიტირიმი, თეთრწყაროელი ეპისკოპოსი ზინობი და სხვანი. წირვაზე ბრძანდებოდა და პანაშვიდი გადაიხადა უმაღლესმა პატრიარქმა და უწმინდესმა კათალიკოსმა ყოველთა სომეხთა ვაზგენ I-მა. წირვას ესწრებოდნენ ქუთაისელაენათელი ეპისკოპოსი რომანოზი, წილკნელი ეპისკოპოსი გაიოზი, საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ეპისკოპოსი კომიტახი, ეჩმიაწინის არქიმანდრიტი გიორგი და სხვანი.

სამგლოვიარო ცერემონიალი დაიწყო 14 საათზე. უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში.


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმი და გაზეთი „სამშობლო“ თანაგრძნობით ეუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი

**ეფრემ II**

# დედაენა

საჩლვარგარეთულ თანამემამულეთათვის
შედგენილი გალერიან რამიშვილის მიერ
იაკობ გოგებაშვილის „დედაენის" მიხედვით

## გაკვეთილი 13



გემი
გე-მი
გ ე მ ი
გ

გუ-შა-გი. გო-ში-ა. გვის.

აი გემი. მიხა გაემის გუშავია. კაკოს გოშია ავია. მაშო ოთარს გვის.

ეს შიოს კოკაა. სათამაშო გემი გიასია. კესომ კოშში იგემა.

გოგი
გმ
ეს კოშში გიასია

## გაკვეთილი 14



ოფოფი
ო-ფო-ფი
ო ფ ო ფ ი
ფ

ფა-ვა. თო-ფი. ფეს-ვი. თეფ-ში.

აი ფაფა. აი ოფოფი. ვეფხვი საშიშია. მაიკო თეფშს ასუფთავებს.

ეს გიგას სკაა. ის მუსის ფეხვია. ოფოფი მამასია.

ოფოთი
ფ ფ
ფეფო გოგის კაკაოს
ასმევს

# აი, სიძე!..

(იუმორისტული ეტიუდი)

◆


ოჯახში ხშირად მოგვდიოდა უსიამოვნება ჩემი ახირებული სიდედრის გამო. იგი ორგანულად ვერ მიტანდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შინ ნასვამი ვბრუნდებოდი. არც მე მეხატებოდა იგი გულზე. რამდენჯერ მინატრია, საკუთარი ხელით დამეხრჩო ურჩი სიდედრი, მაგრამ ცოლის ხათრით თავს ვიკავებდი. ბოლოს, გადავწყვიტე, ცოლ-შვილი მიმეტოვებინა. გამომშვიდობებისას თვალცრემლიან ცოლს ვუთხარი: სანამ დედაშენი ცოცხალია, ჩემი ფეხი ამ ოჯახში არ იქნება. დანაღვლიანებული გამოვედი სახლიდან და რესტორნისაკენ გავწიე.

საღამოს 9 საათზე, შეზარხოშებული, ჩელიუსკინელების ხიდს ვუახლოვდებოდი. უცებ ხმაური მომესმა. ვიღაც ქალი წყალში იხრჩობოდა. უცნობის გადასარჩენად ხიდიდან მტკვარში გადავეშვი, ცურვით მივუახლოვდი გრძნობადაკარგულს. ვწვდი თმაში და ნაპირზე გამოვათრიე. სიბნელეში ვერ გავარჩიე უცნობის სახე. ამ დროს სასწრაფო დახმარებაც გამოჩნდა და გრძნობადაკარგული ქალი საავადმყოფოში გააქანეს. ხალხი ჩემს რაინდულ საქციელს ხოტბას ასხამდა. მეორე დღეს გაზეთში გამოქვეყნებული წერილის სათაური ამოვიკითხე: „აი, სიძე!" წყალწაღებული ჩემმა სიდედრი აღმოჩნდა. მოკლე ხანში ცნობილი პიროვნება გავხდი. 347 სიდედრისაგან მივიღე 665 ბარათი. ისინი ხოტბა-დიდებას მასხამდნენ და ჩემთან შესვედრაზე ოცნებობდნენ. სიდედრებზე განაწყენებული 2.500 სიძე კი სასტიკად მკიცხავდა და მემუქრებოდა. სულ მალე ჩემდამი ღრმა პატივისცემით აღტურვილმა სიდედრებმა ფული შეაგროვეს და ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" მიყიდეს. მას შემდეგ ჩემი სიმამრი, „სიძე, შე ძველ..." ნაცვლად კაცურ კაცს შეძახდა.

ერთმა ჩემმა ნაცნობმა, რომელიც დიდი ხანია ავტომანქანის ყიდვაზე ოცნებობს, გადაწყვიტა, ანალოგიური ამბავი გაიმეორებინა. ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე, სიდედრი ხიდიდან მტკვარში გადაუშვა, საბრალო ქალი ხელს უქნევდა, პირობის თანახმად, შველას თხოვდა. სიძემ ჯიბეებში ჩაიწყო ხელები და ოლიმპიური სიმშვიდით სახლისკენ გასწია.

იგი ანგარიშში არ მოტყუებულა: სულ მალე სიდედრებზე განაწყენებულმა სიძეებმა ფული შეაგროვეს და მას ავტომანქანა „ვოლგა" უყიდეს. მას შემდეგ სიდედრებმაც ჭკუა ისწავლეს. სიძეებს გულისხმიერებით ეპყრობიან. ზოგიერთი შორსმჭვრეტელი სიდედრი კი, ყოველი შემთხვევისათვის, ცურვას სწავლობს.

თენგიზ პირველი



მდუმარება

მერაბ თათარაშვილის ფოტო

# ბუნება ღონიერია!

ბუნებისა მოღალატე, თვითონ რომ ზის, იმ ტოტს სჭრისო.

ხეხილი დარგეო, შვილიშვილს არგეო.

მოუარე ბუნებასო, გაგისწორებს გუნებასო.

სნეულებამ დაიკვნესა — ბუნება გაამწვანეს და მე გამამწარესო.

ბუნებამ ჩაიცინა — ზოგი ჩემს გატყვევებას ცდილობს, ზოგიც გატყავებასაო.

მაშინ ვარ ღონიერიო, თუ შენ ხარ გონიერიო, — უთხრა ბუნებამ კაცს.

ტყემ თქვა, ცულიან კაცს მგელი მირჩევნიაო.

დანაგვიანებული სოფელი ტალახში ამოსვრილ კაცს წააგავსო.

ბუნებამ უთხრა კაცს — ჩემგან დედინაცვლობას ნუ მოელი და ნურც შენ გამიწევ გეროგასაო.

ვახტანგ ჯავრიშვილი

# დაგეძებენ, მოგელიან

**ალექსანდრე სპირიდონის ძე გიორგობიანს,**

დაბადებულს 1912 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ხიმშში, ეძებენ მეუღლე — **მარგალიტა,** შვილი — **ნანული,** შვილიშვილები — **ირმა, ეკა ბერაძეები,** და — **მარო გიორგობიანი,** მცხოვრებნი თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, VI კვარტალი, 37 კორპუსი.

**ზაქარია გიორგის ძე კალატოზიშვილს,**

დაბადებულს 1914 წელს ქასბის რაიონის სოფელ მეტეხში, ეძებენ დედა — **ოლღა,** მამა —**გიორგი,** დები — **თამარ** და **ცაცა კალატოზიშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, ჩხიკვაძის ქუჩა № 13.

**ბორის გრიგოლის ძე ხინტკირიას,**

დაბადებულს 1919 წელს აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოში, ეძებენ დები —**ნინო, ეკატერინა** და **ლოლა ხინტკირიები,** მცხოვრებნი თბილისში, დიდუბის მე-III შესახვევი № 27.

**ალექსანდრე მიხეილის ძე ლოლაძეს,**

დაბადებულს 1908 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში, ეძებენ მეუღლე — **ელენე,** შვილი — **ჭემალ ლოლაძეები,** მცხოვრებნი თბილისში, კალინინის ქუჩა № 16.

**დავით თედორეს ძე კილასონიას,**

დაბადებულს 1920 წელს ქალაქ ზუგდიდში, ეძებს და — **პისტი კილასონია,** მცხოვრები ზუგდიდში, კალინინის ქუჩა № 22.

**გიორგი იოსების ძე ჩაგმაველს,**

დაბადებულს 1920 წელს თბილისში, ეძებენ დედა — **ალექსანდრა,** და — **ეთერ, სიძე — ვალიკო იშხნელი,** მცხოვრებნი თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება № 4.

**მოსე გერვასის ძე ვაშაძეს,**

დაბადებულს 1921 წელს ვანის რაიონის სოფელ ფერეთაში, ეძებენ დედა — **ოლღა,** მამა — **გერვასი,** დები — **თამარ, დონია,** ძმები — **უორა, გივი ვაშაძეები,** მცხოვრებნი სოფელ ფერეთაში.

**გიორგი (გოგილო) ონისიმეს ძე კუტალაძეს,**

დაბადებულს 1922 წელს სამტრედიაში, ეძებენ დედა — **ლიდა,** მამა — **ონისიმე,** ძმა — **ნოდარ კუტალაძეები,** მცხოვრებნი სამტრედიაში, ტელმანის ქუჩა № 5.

**დოვენტი ტარიელის ძე ალავიძეს,**

დაბადებულს 1900 წელს ცაგერის რაიონის სოფელ საირმეში, ეძებენ მეუღლე — **გუგული,** შვილები — **გივი** და **ზეინაბ ალავიძეები,** მცხოვრებნი თბილისში, ასალუბის ქუჩა № 6.

**მამია სამსონის ძე კვაჰაძეს,**

დაბადებულს 1924 წელს ქალაქ ქობულეთში, ეძებენ დედა — **ქეთევან,** ძმები — **აბელ** და **შოთა კვაჰაძეები,** მცხოვრებნი თბილისში, საბურთალოს ქუჩა № 33.

**ვასილ ნიკოლოზის ძე სტეფნიაშვილს,**

დაბადებულს 1922 წელს მცხეთის რაიონის სოფელ წილკანში, ეძებენ დედა — **ოლღა,** მამიდა — **ბარბარე,** და — **ვარა,** ძმები — **ოთარ, ვიგენტ სტეფნიაშვილები,** მცხოვრებნი სოფელ წილკანში.


რედაქტორი გივი ქარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.



არ დაივიწყოთ, ისწავლეთ მშობლიური ქართული!